პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 5 სექტემბერი № 206 (17551) ფასი 2 კაპ.


## საქმეთ გამოაჩინა

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლიანა რაზმაძე ხელმძღვანელობს, ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალებანი. ამ კოლექტივში ათი წევრია, მეთერთმეტე, საპატიო წევრად არჩეულია ბორტგამცილებელი, კომკავშირელი ნადეჟდა კურჩენკო, რომელიც ბანდიტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა.

ლიანა რაზმაძე გაერთიანებაში შვიდი წლის წინ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა. ამ ხნის განმავლობაში იგი სრულყოფილად დაეუფლა ელექტრომემონტაჟის პროფესიას, სათავეში ჩაუდგა ბრიგადას და მალე ჭოწინავეთა რიგებში ჩააყენა.

სურათებზე: ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი ლიანა რაზმაძე; მზადდება „კომკავშირული პროექტორის“ მორიგი გამოშვება (მარცხნიდან): გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი თენგიზ მორგოშია, ბრიგადირი ლიანა რაზმაძე, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის თავმჯდომარე ირაკლი თავამაიშვილი და საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, ელექტრომემონტაჟე ლარისა სიპოვაია; ლიანა რაზმაძე გაერთიანებას საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## რთველი—79

# ქართული ყურძნის უხვი მოსავლისათვის

### კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონების მევენახეთა თათბირი საგარეჯოში

**უკვე** ტრადიციად დამკვიდრდა: რთვლის დაწყების წინ მევენახეობის — ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის მშრომელები იკრიბებიან თათბირზე, რათა საქმიან ვითარებაში კიდევ ერთხელ გააანალიზონ წარსული სეზონის წარმატებანი და ხარვეზები, განიხილონ ამოცანები, რომლებიც აწუხებს მევენახეს, ჩააბარონ ერთმანეთს მომავალი რთვლობისათვის მზადყოფნის ანგარიში. გამოსაკლისს არც მიმდინარე წელი შეადგენდა.

4 სექტემბერს საგარეჯოში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კახეთისა და ქვემო ქართლის რაიონების პარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსები, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც დაკავშირებული არიან ყურძნის წარმოებასა და დამზადებასთან.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ბ. შევარდნაძემ.

ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და მისი დროულად გადამუშავების საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა რ. კონცელიძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. მეზურაშვილი, საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. შინჯიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი რ. მემარნიშვილი, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის მეორე მდივანი მ. კოკორაშვილი, საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი გ. კვანტალიანი, საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი ო. ღლონტი, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივანი თ. ხუციშვილი, საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მეორე მდივანი ბ. ლომიძე, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბარისაშვილი, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივანი მ. ხუნაშვილი, საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის მეორე მდივანი უ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი ფ. ყარაულაშვილი, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სანარმოო ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დ. სარიშვილი, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უტიაშვილი, საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. ოქრომჭედლიშვილი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ ეს წელი მევენახეებისათვის მძიმე გამოდგა. პაპანაქება სიცხემ, ძლიერმა გვალვამ დამატებითი სიძნელენი შეუქმნეს დარგის მშრომელებს. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ყველგან, სადაც კი ვაზი მოყავთ, ახლა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ დროზე აიღონ მოსავალი, ამასთან არ დაკარგონ არც ერთი გრამი ყურძენი.

წლევანდელი რთველი უჩვეულოა იმითაც, რომ სწორედ ამ სეზონში წყდება ნაკისრი ყველაზე მაღალი სოციალისტური ვალდებულებების ბედი, ყურძნის ჩაბარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების ბედი.

მიუხედავად ამისა, როგორც თათბირზე აღინიშნა, წინა წლისაგან განსხვავებით კახეთის ზოგიერთ რაიონში არ გამოიჩინეს ჯეროვანი მზრუნველობა რთველისათვის მოსამზადებლად, დროულად არ რწყავდნენ ვენახებს, წვიმის მოლოდინში ზოგიერთმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მთელმა რაიონებმაც კი დაარღვიეს რწყვის ვადები, რასაც არასასურველი შედეგები მოჰყვა. იქ, სადაც ვაზი მტევნებით იყო დახუნძლული, მაგრამ გვალვამ ნაახდინა მოსავალი, ბრალი მთლიანად და სავსებით ეკისრებათ რაიონების, მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დროულად ვერ უზრუნველყვეს ზვრების ჯეროვანი მოვლა.

მასობრივი რთვლის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. მთელ რიგ რაიონებში კი უკვე შეუდგნენ შერჩევითს კრეფას. ახლა მთავარია არ გამოგვრჩეს ყურძნის შემოსვლა, დროულად დავიწყოთ რთველი და ყურძნის კრეფის სამუშაოთა მაღალი ორგანიზაციის მეოხებით ავინაზღაუროთ დაკარგული შესაძლებლობანი.

ყველაზე სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსავლის აღების სამუშაოთა საჭირო ტემპის უზრუნველყოფას, ისე უნდა წარმმართოთ მუშაობა, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი საათი, თითოეული შრომითი წუთი. საჭიროა მეურნეობებში შედგეს სამუშაოთა ზუსტი გრაფიკები თითოეული ბრიგადის, უბნის, რგოლისათვის, გათვალისწინებულ იქნეს მევენახეთა, მოსავლის აღებასა და გადაზიდვაზე დასაქმებულ მძღოლთა, ყველა იმ მუშაკთა შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი, ვისზეც დამოკიდებულია საქმის წარმატება.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, თქვეს გამოსულმა ამხანაგებმა, საკარმიდამო ნაკვეთებზე ყურძნის კრეფაში მოსახლეობის დახმარების საკითხს. რაიონების, მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ სოფლის მშრომელთა უზრუნველსაყოფად მოსავლის გადასაზიდი ტრანსპორტით, გაუნაწილონ მათ ყოველმხრივი მხარდაჭერა.

მთელი სიმწვავით დადგა საკითხი იმის შესახებ, რომ საიმედოდ აღიკვეთოს ყურძნის დაბაკების ყოველგვარი შესაძლებლობა როგორც მეურნეობებში, ისე გადამმუშავებელ სანარმოებში.

რესპუბლიკაში, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ წარმატებით შესრულდეს ყურძნის კრეფისა და დამზადების დავალებანი. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი უზრუნველყოფილი არიან საავტომობილო ტრანსპორტით, საჭირო ინვენტარით, მთელი მოსახლეობა მობილიზებულია რთველისათვის. ახლა საჭიროა მოალე ვადაში და უდანაკარგოდ იქნეს აღებული მთელი მოსავალი კახეთის მეურნეობებში, მიეყიდოს სახელმწიფოს ამ რეგიონიდან სულ ცოტა 400 ათასი ტონა ყურძენი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გადავფაროთ წინა ორი წელინადის გარღვევა.

თათბირმა რესპუბლიკის ყველა მევენახეს მოუწოდა გამოიჩინოს მაქსიმალური ორგანიზებულობა, ვაზის ოდინდელი სიყვარულით, პარტიისა და ხალხისათვის მიცემული სიტყვისა და საქმის ერთგულებით წარმატებით დაეგვირგვინოს დაწყებული პასუხსაგები კამპანია — რთველი, გაანაროს სამშობლო საქვეყნოდ განთქმული ქართული ყურძნის უხვი მოსავლითა და ხარისხით.

შ. ჭოჭუა,
ჯ. ჭურხული,
(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები),
რ. ახვაბელოვი,
(საქინფორმი).

## ხუთწლედი შეჯიბრება

# ათი დღით ადრე

**ქალაქ** ჭიათურის დაარსებისა და პირველი ქართული მანგანუმის მოპოვების მე-100 წლისთავს ღირსეული მაჩვენებლებით ხვდებიან აქაური მშრომელები, რომლებიც წლის დასაწყისიდანვე ათი დღით ადრე სულ უფრო აძლიერებენ შრომითს ტემპს.

თავდადებული შრომის წყალობით მათ ამ დღეებში კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ჭიათურელებმა ხუთწლედის მეოთხე წლის რვა თვის დავალების შესრულება ვადამდე ათი დღით ადრე — 22 აგვისტოსათვის უპატაჟის სახელმწიფოს. იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო დავალების გადამეტებით სულ წარმოებული იქნება სამი მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის უმთავრესი — მანგანუმი.

გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მანგანუმის სამთამადნო კომბინატმა და მისი მაღაროსა-მმართველოების კოლექტივებმა, ხორციესა და რძის კომბინატმა, ჩაის ფაბრიკამ და სხვა საწარმოებმა.

ო. ნიჟაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# გამარჯვებული

**ბათუმი.** (საკ. კორ. მ. გორგიაძე.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

ახლახან სანაოსნოს ხელმძღვანელობამ და საზღვაო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მეორე კვარტალის შეჯიბრების შედეგების მიხედვით გამარჯვებულად ცნო „ნიკო ნიკოლაძის“ ეკიპაჟი, რომელსაც სანაოსნოში ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს. იგი პირველი ადგილის მოსაპოვებლად საკავშირო ჯილდოზე წარადგინეს.

წლევანდელი მეორე კვარტალის მაჩვენებლის მიხედვით სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საზღვაო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი ვიმპელი და მეორე ფიფლადი პრემია დაიმსახურა ტანკერმა „კომსომოლის ფედკომ“. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებს შორის პირველი ადგილი და პირველი ფფლადი პრემიები დაიმსახურეს მადანსაზიდმა „ფილიპე მახარაძემ“ და ტანკერმა „დროგობიჩმა“.

## დეპუტატის ბრიგადაში

### ებრძოლნენ გვალვას, იწყებენ რთველს

**ყოველ**ულ ძალზე შემოგვიტია გვალვამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მიწები ტენიანია და თითქოს არ უნდა გაგვჭირვებოდა, მაინც შეეწუხდით. შეექმნით გვალვასთან მებრძოლი შტაბი და ჯიქურ შევეჭიდეთ სტიქიას. ჩვენ თანამედროვე სარწყავი სისტემა თითქმის არა გვაქვს, ვრწყავდით ხევის წყლით. ვიყენებდით „მცირე მელიორაციას“, ვაგუბებდით წყალს და გადასატანი წყალსატუმბებით ვრწყავდით ვენახებს, რაიონში 28 აგრეგატი გვაქვს, თითქმის ყველა მუშაობს.

ნახევარზე მეტ ფართობებში მაინც კულტივაციის იმედით ვიყავით. მევენახეები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ და შედეგიც ცუდი არა გვაქვს. ძალიან გაგვიჭირდა „სირხატებზე“, ქვიან და ქვიშრობ ნიადაგებზე, სადაც წყალი არ ჩერდება. რაიონში თავი მოვუყარეთ ავტოცისტერნებს. 40-ზე მეტი ამგვარი მანქანით განუწყვეტლივ ვიწვდით წყალს იმ ვენახებში, სადაც განსაკუთრებით უჭირს.

რთველი გუშინწინ დავიწყეთ. ჯერ იმ ვენახებში ვკრეფთ, სადაც გვალვამ ძალიან შეაწუხა ვაზი. კრეფენ ყვარლისა და ქნქმარაულის საბჭოთა მეურნეობებში, შილდისა და გავაზის კოლმეურნეობებში.

ზეგ, 7 სექტემბერს ყურძნის კრეფას ვიწყებთ მთელ რაიონში. დაიწყება დიდი რთველი და ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ: კარგ მოსავალს ვეღლდებით გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ 7 ათას ტონა ყურძენს მივიღებთ, გავაზელები 5 ათას ტონა ყურძენს გვპირდებიან. გვჯერა, რომ რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს. ერთი ეგ არის, ახალოსფლის სანერგე მეურნეობას გაუჭირდება. ივნისში ხომ ძლიერ დაისეტყვა ამ მეურნეობის თითქმის 150 ჰექტარი ვენახი.

წლეულს გეგმა-ვალდებულებით 52.500 ტონა ყურძენი უნდა


რ. ურჯუმელაშვილი,

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი


# ყვარელსა და ლაგოდეხში

### ებრძოლნენ გვალვას, იწყებენ რთველს

მივყიდოთ სახელმწიფოს. ჩვენი სურვილია და გვჯერა კიდევაც, რომ ამ მოთხოვნას გადავაჭარბებთ და გვექნება 60 ათასი ტონა ყურძენი, რითაც დავფარავთ ხუთწლედის პირველი ორი წლის დანაკლისს და ოთხწლეულს პირნათლად დავამთავრებთ.


ა. კაპანაძე,

ლაგოდეხის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე


— გვალვამ დააშრო ხევები, მოსავალი გველუპებოდა. გვიშველა იმან, რომ ჩვენმა გამჯდარ ხალხმა თავიდანვე თადარიგი დაიჭირა, ყველა რეზერვი ავამოქმედეთ, პატარა წყაროებიც კი

# ერთ-ერთ

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი

**ყ**ვარელს ძალზე შემოგვიტია გვალვამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მიწები ტენიანია და თითქოს არ უნდა გაგვჭირვებოდა, მაინც შეეწუხდით. შეექმნით გვალვასთან მებრძოლი შტაბი და ჯიქურ შევეჭიდეთ სტიქიას. ჩვენ თანამედროვე სარწყავი სისტემა თითქმის არა გვაქვს, ვრწყავდით ხევის წყლით. ვიყენებდით „მცირე მელიორაციას“, ვაგუბებდით წყალს და გადასატანი წყალსატუმბებით ვრწყავდით ვენახებს, რაიონში 28 აგრეგატი გვაქვს, თითქმის ყველა მუშაობს.

ნახევარზე მეტ ფართობებში მაინც კულტივაციის იმედით ვიყავით. მევენახეები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ და შედეგიც ცუდი არა გვაქვს. ძალიან გაგვიჭირდა „სირხატებზე“, ქვიან და ქვიშრობ ნიადაგებზე, სადაც წყალი არ ჩერდება. რაიონში თავი მოვუყარეთ ავტოცისტერნებს. 40-ზე მეტი ამგვარი მანქანით განუწყვეტლივ ვიწვდით წყალს იმ ვენახებში, სადაც განსაკუთრებით უჭირს.

რთველი გუშინწინ დავიწყეთ. ჯერ იმ ვენახებში ვკრეფთ, სადაც გვალვამ ძალიან შეაწუხა ვაზი. კრეფენ ყვარლისა და ქნქმარაულის საბჭოთა მეურნეობებში, შილდისა და გავაზის კოლმეურნეობებში.

ზეგ, 7 სექტემბერს ყურძნის კრეფას ვიწყებთ მთელ რაიონში. დაიწყება დიდი რთველი და ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ: კარგ მოსავალს ვეღლდებით გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ 7 ათას ტონა ყურძენს მივიღებთ, გავაზელები 5 ათას ტონა ყურძენს გვპირდებიან. გვჯერა, რომ

# ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲑᲘ

### ᲙᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲥᲐᲠᲩᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**თბილისის** სახეხი ჩარხების ქარხნის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა მაღალი სიზუსტის ნახევრად ავტომატური მრგვალსახელი ჩარხი. სსრ კავშირის ჩარხშენებლობის მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს ავტორიტეტულმა კომისიამ მოიწონა ქარხნის კონსტრუქტორთა ნამუშევარი და რეკომენდაცია მისცა ჩარხს წარმოებაში დანერგვისათვის.

ახალი მანქანა მნიშვნელოვნად უმსუბუქებს შრომას მუშას, რომელმაც მხოლოდ უნდა დააყენოს დეტალ და ჩართოს მართვის ციფრობრივი პროგრამა. ჩარხი თვითონ აკონტროლებს დამუშავების სიზუსტეს, ყოველი 50 დეტალის დამუშავების შემდეგ ასწორებს გაცვეთილ სახეხ წრეს, მას საჭირო მანძილზე უახლოებს ნამზადს. იგი ორჯერ უფრო მწარმოებლურია ქარხნის მიერ წინათ დამზადებულ მოდელთან შედარებით და ფართოდ დაინერგება საავტომობილო, საავიაციო მრეწველობაში, სათბობი აპარატურის დამამზადებელ საწარმოებში. ეს საბაზო მოდელია. მის საფუძველზე შეკვეთების მიხედვით შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა მოდიფიკაციები კონკრეტული სახეობის დეტალების დასამუშავებლად.

ქარხნის კონსტრუქტორებმა ამ ოცეოდე წლის წინათ დაიწყეს პირველი დამოუკიდებელი პროექტების შექმნა. 1960 წლიდან შექმნილია 187 პროექტი მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ვოლნიუსის, გორკის, დერბენტის, მოგილიოვის სახეხი მოწყობილობის ქარხნებისათვის. დღეს ქარხნის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს შეიძლება ეწოდოს საწარმო · საწარმოში. კონსტრუქტორთა ვატმანის ფურცლებზე შექმნილი და ლითონში ხორცშესხმული პროექტები ჰიდრავლიკოსებისა და ელექტრიკოსების ხელში გადადის, შემდეგ მათ საგულდაგულოდ ამოწმებენ ტექნოლოგები და სტანდარტიზაციის სამსახურის თანამშრომლები. სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს 70 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შემოქმედებითი ძიება ყოველწლიურად ქარხანას აძლევს მილიონ 600 ათას მანეთზე მეტ ეკონომიკურ ეფექტს.

— წელს ჩვენი კონსტრუქტორები მიმღებ კომისიას წარუდგენენ გაზრდილი და განსაკუთრებით მაღალი სიზუსტის სახეხი ჩარხების კიდევ ორ საბაზო მოდელს, — თქვა საწარმოს თანავარმა ინჟინერმა ს. ივანიძემ. — ამ ორი მოდელისა და მათი მოდიფიკაციის თორმეტ სახეობაზე მუშაობენ კონსტრუქტორები დ. კაპანაძე, ი. ლაშხი, გ. კილაძე, ნ. მირზოევი და სხვები, ინჟინერ-ტექნოლოგი ბ. კაკიაშვილი, ჰიდრავლიკის სპეციალისტი ვ. ჯოლბორდი, ინჟინერ-ელექტრიკოსი მ. მუჯურჭლიშვილი. ამჟამად მათ მიერ შექმნილი ერთ-ერთი მოდელის ბაზაზე მუშავდება კამის საავტომობილო ქარხანაში სპეციალური მაღალი სიზუსტის სამუშაოებისათვის განკუთვნილი სამი სახეხი ჩარხი. (საქინფორმი).

## დროებითი მეგობრობით

### ინფორმაცია—79

# ᲥᲓᲐᲜᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲖᲐᲠᲓᲐᲛᲖᲐᲠ

**ფოთი.** დიდი ხნის შრომითი მეგობრობა აკავშირებს შავი და აზოვის ზღვების ნავსადგურთა კოლექტივებს.

ქდანოველებმა ივლისის დამდეგს ფოთელ კოლეგებს აცნობეს, თუ რა შედეგებით დაამთავრეს ნახევარი წელი და როგორ ემზადებიან თავიანთი ნავსადგურის 90-ე წლისთავისათვის.

ქდანოველებს ტვირთის გადამუშავების გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეესრულებიათ.

ფოთელები, რომლებსაც შარშან თავიანთი ნავსადგურის 120-ე წლისთავის საიუბილეო ზეიმზე მოწვეული ჰყავდათ ქდანოველები, აქვეყნად ძმური სიყვარულით იზიარებენ მათს მომავალ საზეიმო გაწყობილებას და სულ უფრო ზრდიან საკუთარ შრომითს მიღწევებს. მათ 9 დღით ადრე უპატაჟეს სამშობლოს სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამუშავების 7 თვის გეგმის შესრულება. ქდანოველთა ზეიმზე კი ფოთელთა დელეგაცია ახალი შრომითი ნობათით წარადგება.

კ. კომახიძე.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ

**ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ**, 4 სექტემბერი. აქ სერბულ-ხორვატულ ენაზე გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა კრებული, რომელშიც შედის მოგონებები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყაზრი“. წიგნი ფოტოებით არის ილუსტრირებული.

კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ მოგონებანი მოიცავს საბჭოთა კავშირის უახლესი ისტორიის სამ პერიოდს. დიდმნიშვნელოვანი მოვლენების უშუალო მონაწილე — ლ. ი. ბრეჟნევი საუცხოოდ გვიხატავს ომისა და შრომის გმირთა სახეებს. იგი სანგრებში იყო ჯარისკაცებთან ერთად, ცხოვრობდა მუშებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს — პირველყაზრილებს შორის და ამ მოვლენათა ფართო პანორამის ფონზე გვიჩვენებს იმ ვაჟკაცობისა და გმირობის შესანიშნავ მაგალითებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანებმა გამოიჩინეს ომის წლებში და მშვიდობიან დროს.

პოლიტიკური მუშაობა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მოგონებათა საფუძველს წარმოადგენს. ლ. ი. ბრეჟნევი წერს საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობის შესახებ. ჩვენ, იუგოსლაველები, დიდად ვაფასებთ მათს ვაჟკაცობას, ვინაიდან თავად გამოვიჩინეთ ასეთივე თვისებები სახალხო-განმათავისუფლებელი ომის დროს.

ლ. ი. ბრეჟნევი მუდამ მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა. იგი მთელ თავის მგზნებარებას ახმარდა „ზაპოროჟფოლადის“ მეტალურგიული კომბინატისა და „დნეპრპესის“ აღდგენის, ათობით დიდი თუ პატარა ქარხნის, ახალი საცხოვრებელი უბნებისა და გზების მშენებლობის საქმეს.

ლ. ი. ბრეჟნევის საქმეებში, ხაზგასმულია წინასიტყვაობაში, გამოვლინდა მისთვის ისეთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, როგორიც არის კომუნისტური იდეალების ურყევი ერთგულება, სიმტკიცე დასახული ამოცანების შესრულებასა თუ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში. იგი თავისი ენთუზიაზმით ფრთას ასხამდა დანარჩენებს და თავისი გულისხმიერებით ადამიანთა ნდობა და პატივისცემა მოიხვეჭა. ასეთად ვხედავთ ლ. ი. ბრეჟნევს წიგნში.

# ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

### მოსკოვის საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებსა და სტუმრებს

**გულითადად** მივესალმები მოსკოვის მეორე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებსა და სტუმრებს.

წიგნს მილიონობით ადამიანის გონებასა და გულზე ზემოქმედების უდიდესი ძალა აქვს. საჭიროა, რომ იგი აქტიურად ემსახურებოდეს მშვიდობის, პროგრესის, ხალხთა სულიერი გამდიდრებისა და დაახლოების საქმეს.

ჩვენს ქვეყანაში უყვართ და აფასებენ წიგნს. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძის ერთგული კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ინტელექტუალური ღირებულებანი მშრომელთა ფართო მასების კუთვნილება გახდეს. უდიდესი ტირაჟით გამოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური, საყმაწვილო და სხვა ლიტერატურა.

ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემით სსრ კავშირს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. თანამიმდევრულად ასრულებს რა ჰელსინკის მორიგებებს, საბჭოთა კავშირმა უკანასკნელი წლების მანძილზე ერთ-ნახევარჯერ გაზარდა უცხო ენებიდან თარგმნილი წიგნების ტირაჟი.

მოსკოვის საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა ტრადიციული ხდება. მისმა კეთილშობილურმა დევიზმა „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ — ფართო პოზიტიური გამოხმაურება პოვა საერთაშორისო საზოგადოებრიობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურის გამომცემელებსა და გამავრცელებლებს შორის.

გამოვთქვამ რწმენას, რომ მოსკოვის მეორე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა ახალი არსებითი წვლილი იქნება წიგნის გაცვლის შემდგომ გაუმჯობესებაში, ხელს შეუწყობს ხალხთა შორის კულტურული თანამშრომლობის განვითარებასა და კეთილმეზობლობის განმტკიცებას.

ლ. ბრეჟნევი.

# ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲪᲜᲔᲚᲐ

### გაიხსნა მოსკოვის მეორე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობა

**4 სექტემბერს** სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის თავზე აფრიალდა ალამი, რომელსაც მოსკოვის მეორე საერთაშორისო წიგნის გამოფენა-ბაზრობის ემბლემა — გადაშლილი ტომის ფონზე კრემლის კოშკი აშკრს.

ღრმად ჰუმანურმა გამოფენის დევიზმა „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“ შეკრიბა 75 ქვეყნის წარმომადგენლები.

გამოფენის საზეიმო გახსნას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტ. ი. ილიეოიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ე. მ. ტიაჟელნიკოვი, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ბევრი ქვეყნის უდიდესი წიგნის საგამომცემლო ორგანიზაციებისა და ფირმების წარმომადგენელნი, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას წიგნის გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებისა და სტუმრებისადმი. მისალმება წაიკითხა გამოფენა-ბაზრობის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარემ ბ. ი. სტუკალინმა. გამოფენა-ბაზრობის მონაწილეებს ხალხთა მშვიდობის, მეგობრობის, ჰუმანიზმისა და პროგრესის იდეალების გამარჯვებისათვის საქმიანობაში წარმატებანი უსურვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოადგილემ ბ. ლეონიდოვიკმ.

მოსკოვის მეორე საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა გახსნილად ცხადდება.

ფართო და მრავალფეროვანია საბჭოთა კავშირის ექსპოზიცია, იგი 15 ათას ექსპონატს შეიცავს. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშებს აჩვენებს 200-ზე მეტი ცენტრალური და რესპუბლიკური გამომცემლობა.

ვრცელი განყოფილებანი მოამზადეს სოციალისტურმა ქვეყნებმა. მათი მუდმივადმზარდი კავშირურთიერთობის დადასტურებაა ერთობლივი გამოცემები, რომლებიც შეიცავენ მომმე ქვეყნების მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებს, ლიტერატურა, რომელიც აშენებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში კეთილნაყოფიერ თანამშრომლობას.

გამოფენის ფარგლებში მოეწყო ორი დიდი ინტერნაციონალური ექსპოზიცია „წიგნი და ბავშვები“ და „ოლიმპიადა-80“.

ამრიგად, მოსკოვის წიგნის ფორუმმა მუშაობა დაიწყო. წინ არის საქმიანი მოლაპარაკებისა და შემოქმედებითი კონტაქტების კვირა, რომელთა მიზანია კიდევ უფრო განვითარდეს კულტურული გაცვლა, განმტკიცდეს ხალხთა ურთიერთგაგება და მეგობრობა.

(საკრედსი).

# პასუხისმგებლობის ამაღლება მთავარი რეზერვია

**სამუშაო** დღე იწურებოდა. თბილისის სალოკომოტივო დეპოს მშრომელები შინ წასასვლელად ემზადებოდნენ და ხელსაწყო-იარაღებსა და სამუშაო უბნებს სახვალიოდ ამზადებდნენ. მხოლოდ ასაწევი რემონტის საამქროსთან შეჯგუფებულიყნენ მუშები. მალე აქ საამქრო პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება უნდა გამართულიყო და კომუნისტები რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ჩვენი მიახლოება არც შეუტყვიათ.

— უკეთ მუშაობა მართლაც შეგვიძლია და ვიმუშავებთ კიდეც, მაგრამ ამისათვის ბევრ სხვა რამესთან ერთად, საქმის მცოდნე კადრები, ახალგაზრდა სპეციალისტებია საჭირო, ხოლო მათი შენარჩუნებისათვის — სათანადო პირობები. ახალგაზრდებს სულ სხვაგვარი მიდგომა, ხელშეწყობა და დახმარება უნდა, ასე არ არის? — მიუბრუნდა ოსტატი მ. ზამთარაძე საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს ი. ინასარიძეს.

— ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ ახალგაზრდობისადმი რა სხვაგვარ მიდგომაზეა ლაპარაკი? განა ახალგაზრდები არ არიან ავთანდელ ორმოცაძე, კობა ბუხუკური, მერაბ ჩაჩხიანი და სხვები, ჩინებულად რომ შრომობენ?

— კი, ბატონო, მართლაც ძალიან ბევრი შესანიშნავი ახალგაზრდა გვყავს, მაგრამ მათაც და ჩვენც, ძველ მუშებსაც, უკეთესი პირობები რომ არ გვაწყენდა, ესეც ფაქტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთო, რას ჭამენ ჩვენი სასადილო? იქ გაკეთებული სადილი არ იჭმევა და მარტო ბუზების საყურებლად შიგ ვინ შევა? წლების განმავლობაში მდგომარეობის შეცვლის ნაცვლად აქ მხოლოდ გამგეები იცვლებიან. ახლა ამ „სასადილოს“ არემონტებენ და ვნახოთ რა იქნება... ამბობს ზენიკალი ვ. ბატაშვილი.

—კმარა კამათი, მეგობრებო, დავიწყოთ კრება და ყველამ იქ თქვით ჩვენ-ჩვენი სატკივარი თუ მოსაზრება, — წითელ კუთხეში შეუძღვა კომუნისტებს საამქრო პარტორგანიზაციის მდივანი ჯ. ადეიშვილი.

კრებაზე კი მართლაც საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა. კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა საუბარიშო მოხსენებამ მოკამათეებს კარგი ტონი მისცა. კომუნისტებმა გ. ერემბაშვილმა, ო. ჭინჭარაძემ, კ. ბუჩუკურმა, ა. ორმოცაძემ, მ. ბარამიძემ და სხვებმა „ვლ-8“ მარკის ელმავალი ხელახლა გაგვიხდა შესაკეთებელი? საბჭდნიეროდ, ასეთი ფაქტები იშვიათი გამონაკლისია, მაგრამ ნათქვამია, ერთმა წვეთმა კუპრმა ერთი კასრი თაფლი გააფუჭაო. ესეც არ იყოს, თუ საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების თითოეული ფაქტი საგანგებო მსჯელობის საგანი არ გავხადეთ და თავშიეე არ ამოვძარცვეთ, ვერაფერს ვერ გავხდებით...

— თანამიმდევრულობა ზოგჯერ მართლაც გვაკლია, მხარი დაუჭირა ამხანაგს ოსტატმა მ. ზამთარაძემ.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელმძღვანელო დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ „პირველადი პარტორგანიზაციები, პარტიული ჯგუფები უნდა იყვნენ ყოველდღიური იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ცენტრები, აკავშირებდნენ კოლექტივს, უნარიანად ეწეოდნენ ინდივიდუალურ მუშაობას ადამიანებთან, სტიმულს აძლევდნენ მათს სოციალურ და შრომითს აქტიურობას, ამაღლებდნენ შრომისა და ყოფაცხოვრების კულტურას, ავითარებდნენ ახლის გრძნობას“. ყველა ეს საკითხი ჩვენ ადრეც ბევრჯერ განგვიხილავს პარტიულ კრებაზე, სათანადო დადგენილებებიც მიგვიღია, მაგრამ იმის გამო, რომ ყოველდღიურად არ გვიღვაწია მათი შესრულებისათვის, შედეგიც არ არის სასურველი. განა სწორედ ამის ბრალი არ არის, რომ ჩვენთან საკმაოდ მოიკოჭლებს დისციპლინა, რომ დ. ორმოცაძე, გ. ეგიოროვიანი და სხვები უმიზეზოდ აგვიანებდნენ სამუშაოზე, ან საერთოდ აცდენდნენ?! განა ამის ბრალი არ არის ის ნაკლოვანებები, რომლებზეც დღესაც გვიხდება ლაპარაკი? ყველანი მუდამ კეთილსინდისიერად, მაღალი პასუხისმგებლობით რომ ვეკიდებოდეთ მინდობილ საქმეს, ზუსტად რომ ვიცავდეთ რემონტის ტექნოლოგიურ რეჟიმს, წუნის ერთეული შემთხვევებიც არ გვექნებოდა.

დისციპლინის განმტკიცება და პასუხისმგებლობის ამაღლება მართლაც დიდი რეზერვია, — თქვა დეპოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ნ. საკაკშვილმა. ჩვენი საწარმოს კოლექტივის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დაიყენა ამერიკაკავკასიის რკინიგზის აქტივის კრების გადაწყვეტილებებმა. ჩვენ ეს საკითხი, მოგეხსენებათ, დეპოს აქტივის კრებაზე განვიხილეთ და მუშაობის გაუმჯობესების გზებიც დავსახეთ. ახლა მაქსიმალური დატვირთვით უნდა გამოვიყენოთ მანქანა-დანადგარები, თითოეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, დავნერგოთ ორცვლიანი მუშაობა...

კრების მონაწილეებმა პრინციპიულად იმსჯელეს საწარმოში არსებული ვითარებაზე, აღნიშნეს მიღწეული წარმატებებიც, მაგრამ მეტი ყურადღება ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, მათი გამოსწორების, უკეთ მუშაობის საკითხებს დაუთმეს. განსაკუთრებით ითქვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებაზე.

ასაწევი რემონტის საამქროს კოლექტივმა, ვეთხრა კრების შემდეგ ჯ. ადეიშვილმა, რომელიც კომუნისტებმა ერთხმად აირჩიეს თავიანთ თავკაცად, გადაჭარბებით შესასრულა მიმდინარე წლის რვა თვის დავალებები. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 30 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 5 პროცენტით, დაზოგილია 1135 მანეთი. გადავწყვეტეთ მიმდინარე წლის ეგებერვადამდე, 29 დეკემბრისათვის შევასრულოთ. დიახ, წარმატებები კი გვაქვს, მაგრამ თუ დღეკანდელ კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მაინც ნაკლოვანებებს დავუთმეთ, ეს იმიტომ, რომ შთელ ამერიკაკავკასიის რკინიგზაზე მხოლოდ ჩვენთან ზდება ლოკომოტივების ასაწევი წესით შეკეთება, და ჩვენს ხარისხად მუშაობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ნათქვამია, დიდ ქარავანს დიდი ბეშკარი სჭირდებაო. ჩვენ წინაშე მდგომი სეროიზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის კადრები, კვალიფიკაციური სპეციალისტები ოპ. სათანადო პირობებია საჭირო. ჩვენთან კი საკმაოდ დიდი კადრების დენადობა. მაგალითად, შარშან დეპოში მივიღეთ 662 კაცი, წავიდა 532. მართალია, წლეულს ზოგიერთი რამ გაკ. და მდგომარეობის გამოსასწორ. ... ლად, დეპოს გამოეყო 100 ... ლი საერთო საცხოვრებლებში, შეიქმნა ახალი საერთო საცხოვრებელი და ა. შ., რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დენადობას, მაგრამ ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელობას და პარტიულ კომიტეტს ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება მართებთ...

ერთი რამ ფაქტია: თუ საამქრო პარტორგანიზაცია მთელ თავის საქმიანობას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით წარმართავს, და ეს დაავალა კიდეც კრებამ ახალარჩეულ მდივანს, ასაწევი რემონტის საამქროს კოლექტივი საქმეს უთუოდ წარმატებით გაართმევს თავს.

**რ. რუსია.**



## აქტიური, შემოქმედი ხასიათით

### ახალი სასწავლო წლის წინ პარტიული განათლების სისტემაში

**ცხინვალი.** გაიმართა ოლქის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს საკითხზე, თუ როგორ მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური განათლებისა და მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში და როგორ განიხილავენ და ასრულებენ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. ინფორმაციები გაკეთეს საქართველოს კომპარტიის ცხინვალისა და ჯავის რაიკომების მდივნებმა რ. ჩოჩიევამ და ზ. ჯოლევამ, პარტიის ლენინგორის რაიკომის მეორე მდივანმა მ. ხუბაევამ, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგემ გ. მიდოდაშვილმა და სხვებმა.

აღინიშნა, რომ ადგილებზე მიმდინარეობს კონკრეტული მუშაობა, რათა საგულდაგულოდ მოემზადონ და ორგანიზებულად დაიწყონ ახალი სასწავლო წელი პარტიული, კომკავშირული პოლიტგანათლებისა და მშრომელთა ეკონომიკური სწავლების სისტემაში. საგანგებოდ აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტული კადრების სწორ შერჩევასა და აღზრდას, იდეოლოგიურ მუშაობაში ოლქის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მიერ წარსულში დაშვებული ფორმალიზმის ელემენტების ლიკვიდაციას.

პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ პოლიტიკურ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელი განხორციელებისათვის. იგი განიხილეს პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ამ დოკუმენტს მიეძღვნა სემინარების, პოლიტსკოლებისა და მშრომელთა ეკონომიკური განათლების სკოლების სპეციალური მეცადინეობები.

დაიწყო მზადება სკკპ XXVI ყრილობის, გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

## პროპაგანდისტები კვალიფიკაციას იმაღლებენ

**თელავი.** (საკ. კორ). საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოსა და პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ერთობლივი დადგენილების შესაბამისად თელავში მუშაობა დაიწყო მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემის საშუალო რგოლის პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების 20-დღიანმა გადასამზადებელმა კურსებმა.

კურსებზე მოიწვიეს თელავის, ახმეტის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, საგარეჯოს, თეთრი წყაროს რაიონების პროპაგანდისტები და პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების ხელმძღვანელები.

სემინარებზე ლექციებს კითხულობენ და რეკომენდებული ტიპობრივი პროგრამით სემინარულ მუშაობას წარმართავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები — „თანამედროვე ეტაპზე სახალხო მეურნეობის მართვის აქტიური საკითხები“, „ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემების შემუშავება და დანერგვა“, „ეფექტიურ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა“, „სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის • აქტიური საკითხები“, რომლებიც წაკითხეს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. ხასიამ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა, დოცენტებმა ი. აბესაძემ, რ. ხოჭოლავამ, ზ. გალდავამ, ვ. ჩაგელიშვილმა და სხვებმა.

პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები მუშაობას განაგრძობს.

**დ. გერგიშვილი.**

## საზოგადოებრივი აზრი—ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ

**წალენჯიხა,** გაიმართა პარტიის წალენჯიხის რაიკომთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს შორიგი გაფართოებული სხდომა, რომელზეც ერთ-ერთ საკითხად განიხილეს წესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოებრივ მონაწილეობის მდგომარეობა.

კომისიამ რჩევა მისცა ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუშაონ ოპერატიული გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩაბმას, დანაშაულობათა თავიდან აცილებას.

**ქუთაისის** საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ კოლექტივის მიერ გამოშვებული მამაკაცისა და ბავშვის პერანგები ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქში იგზავნება და მათზე ყველგან დიდი მოთხოვნაა. გაერთიანების 35 მოდელის ტანსაცმელს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა, ხოლო 11 ნაკეთობა „სიახლის“ ინდექსით გამოდის.

მიმდინარე წლის დამდეგიდან ქუთაისელმა მკერავებმა აითვისეს მამაკაცისა და ბავშვის ათი ახალი სახეობის პერანგის წარმოება.

გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში გამოუშვა თითქმის ორასი ათასი მანეთის ზეგეგმიანი პროდუქცია. ეს მნიშვნელოვნად აღემატება წლიური ვალდებულებით გათვალისწინებულს.

**სურათებზე:** გაერთიანების მოწინავე მკერავი, „კომკავშირული პროუექტორის“ წევრი მარინა ფხალაძე; საამქროს უფროსი მურთაზ ამბროლაძე, მემოდელე მაყვალა იმედაძე და წუნმდებელი ხვეტლანა ხოჭაშვილი გაგზავნის წინ ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

**ბ. გერასიმიას** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### ყურადღება:

# ყმაწვილი!

**ალფრდის თემაზე**

**ამარის** ავტონომიური რესპუბლიკის მთიან რაიონებში უკანასკნელი წლების მანძილზე არასრულწლოვანთა დანაშაულის ფაქტები მინიმუმამდე შემცირდა. წელს ხულოს, შუახევის და ქედის რაიონებში ამ სახის არცერთი დანაშაული არ მომხდარა. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ მთაში ასეთ შედეგებს ადვილად შეიძლება მიაღწიო. მართალია, ქალაქთან შედარებით სოფელში ამ მხრივ ნაკლები სიძნელეებია, მაგრამ თავისთავად არაფერი არ მოდის. წარმატებები უპირველეს ყოვლისა განპირობა იმან, რომ ახლა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სახალხო განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოები უფრო სგნობრივად, უფრო კონკრეტულად ეკიდებიან აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას. დღეს უკვე გადალახულია ის „ბარიერიც“, როცა ღონისძიებები ისე ტარდებოდა, რომ არავითარ კვალს არ ტოვებდა ყმაწვილთა გულში. ღონისძიებათა რაოდენობა თვითმიზანი კი არ არის, მთავარია ცოცხალი, კონკრეტული საქმე, თითოეული ღონისძიების აღმზრდელობითი ეფექტი და უკუგება. ამ მხრივ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ავტონომიიურ რესპუბლიკაში ფიქრობენ შეუწყნარებლობის ატმოსფერო. თითოეული არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი ხდება. გაძლიერდა ყმაწვილებთან ინდივიდუალური და დიფერენცირებული მუშაობა, სამართლებრივი აღზრდა. პროფილაქტიკურ-გამფრთხილებელ საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. თითოეულ ძნელადაღსაზრდელს მიემაგრა შეფები — საზოგადოებრივი დამრიგებლები. ხელვაჩაურის რაიონში ახალი თაოსნობა იშვა — „არც ერთი არასრულწლოვანი დამნაშავე“, რომელიც მოიწონა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ და დაავალა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მხარი დაუჭირონ ამ სასარგებლო თაოსნობას.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება სკოლის პასუხისმგებლობა მომავალი თაობის აღზრდისათვის, თითოეული ახალგაზრდის ბედისათვის. ამიტომაც აღზრდის ამ მეტად პასუხსაგებ უბანს ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. სკოლებში ახლა უფრო მიზნობრივად ეწყობა ლექციები, საუბრები და დისპუტები სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე, შეხვედრები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან. მოსწავლეებიც ინტერესით მონაწილეობენ ასეთ შეხვედრებში, მსჯელობენ, კამათობენ, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ცხოვრებისეულ პრობლემურ საკითხებზე. ამ დროს ნათლად წარმოჩნდება ხოლმე მათი დამოკიდებულება სწავლემ, კომკავშირელმა, 1961 წელს დაბადებულმა ავთანდილ ანდროს ძე მაჩიტაძემ და მეცხრე კლასის მოსწავლემ, 1962 წელს დაბადებულმა რეზო თოთარის ძე ჩაკვეტაძემ მიმდინარე წლის 9 იანვარს ქ. ბათუმში გაიტაცეს მოქალაქე ი. გალინის ავტომანქანა. ა. მაჩიტაძეს მიესალა პირობითი სასჯელი, მაგრამ განაჩენის მესამე დღესვე მან კვლავ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული — დანით დაჭრა მოქალაქე.

ამავე სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ 1962 წელს დაბადებულმა მერაბ ჭოლას ძე ჭილაძემ მიმდინარე წლის 7 მარტს ქ. ბათუმში გაქურდა მოქალაქე ე. ბუკის ბინა.

ბათუმის №3 საღამოს საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ, 1963 წელს დაბადებულმა, კომკავშირელმა ოთარ ავთანდილის ძე დობორჯგინიძემ სრულწლოვან ხრთან ერთად ამ წლის 18 აპრილს ზღვისპირა პარკში გაძარცვა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლე თ. ნიკოლაიშვილი.

აღნიშნული ფაქტები ნათლად მიუთითებენ, რომ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ინდივიდუალური მუშაობა.

არასრულწლოვანთა მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის ანალიზი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტი სამართალდარღვევები უზედამხედველო ყმაწვილებზე მოდის.

სწორედ ასეთი ოჯახიდან არის არასრულწლოვანი ო. გოგიტაძე. მისი მშობლები გაიყარნენ. მამა მინისტრომ გამოგვიყო აღნიშნული რაოდენობის სახურავი. მაგრამ მთავარმომარაგების სამმართველოს ქუთაისის ბაზას იგი არ აღმოაჩნდა და განაწესი ქაღალდზე დარჩა. აღნიშნულმა ბაზამ საჭირო რაოდენობით ვერ მოგვცა ვერც სხვადასხვა ზომის მილები და ფურცლოვანი რკინა.

### დირექტორის ტრიბუნა

# რეცა ვითარება პრიტიკულია...

შან საამქრო კაპიტალურად გავარემონტეთ, რაც 40 ათასი მანეთი დაჯდა. ასეთმა ღონისძიებამ ერთგვარად გაზარდა პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესა მისი ხარისხიც, მაგრამ საწარმოო სიმძლავრის ათვისება მაინც ვერ შეძელით. სპეციალისტების აზრით, საჭიროა საამქროს მთლიანი რეკონსტრუქცია. გადასახურავია საშრობი კამერა, რომელშიც წყალი ჩამოდის, ამასთან დამატებით კიდევ ერთი საშრობი კამერაა საჭირო. არსებული კამერის გადახურვას სულ ცოტა 1000 ცალი შიფერი სჭირდება. შარშან ადგილობრივი მრეწველობის სასურველია, რომ წელს სამინისტროსა და მთავარმომარაგების სამმართველოს ხელმძღვანელებმა უფრო ეფექტიანი დახმარება გაგვიწიონ.

სხვა გასაჭირიც გვაქვს. აგურის დასამზადებელ თიხას რვა კილომეტრიდან ვეზიდებით. ამ ტექნოლოგიურ პროცესს ორი თვითმცლელი ავტომანქანა ემსახურება, რომლებიც უკვე ძალიან მოძველდა და წარამარა გამოდის მწყობრიდან. იძულებული ვხდებით დავიქირაოთ სატრანსპორტო საშუალებანი, რაც ძალზე ძვირი გვიჯდება.

ტყიბულის მდგამები მდიდარია გრანიტის უნიკალური სამშენებლო ქვის საბადოებით. ჩვენი ვალია ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში ჩავაყენოთ ბუნების მიერ ნაბოძები ეს სიკეთე. სამწუხაროდ, ამას ზოგჯერ ვერ ვაღწევთ. კომბინატს აქვს გრანიტის ქვის საამქრო, რომელსაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმით 300 კუბური მეტრი მოსაპირკეთებელი გრანიტის ფილები უნდა გამოეშვა. მაგრამ გეგმა ჰაერში გამოკიდებული დარჩა. საამქროს მთელი სამი თვე არ უმუშავია. მიზეზი? არ გვქონდა ამწე და ბულდოზერი კარიერის გადასახსნელად.

ახლახან ამწე მივიღეთ და მუშაობა განვაახლეთ, მაგრამ არასრული დატვირთვით. ველოდებით ბულდოზერს. რაც უფრო ჩქარა მოგვცემენ აღნიშნულ მექანიზმს, მით უმჯობესია საქმისათვის. საამქროს შრომისმოყვარე კოლექტივი ჩამორჩენას დაძლევს და წლის ბოლომდე 1855 ათასი მანეთის გრანიტის ქვის ნაკეთობის გამოშვებასაც შეძლებს.

კიდევ ერთი დამფიქრებელი მდგომარეობა. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მხოლოდ ჩვენი სამრეწველო კომბინატის სამკერვალო საამქრო ამზადებს რესპუბლიკის მუშათა კლასისათვის მეტად საჭირო ბრეზენტისა და მაუდის სპეცტანსაცმელს. ამ სამუშაოზე დღეს 150 ათასამდე მკერავი ქალი გვყავს დასაქმებული. საამქროს მეორე კვარტალში ჩაშალა სპეცტანსაცმლის ასორტიმენტის გეგმა. საქმე ის არის, რომ ვერ მოგვაწოდეს ნედლეული, ბრეზენტის მასალა. ამ მხრივ კიდევ უფრო კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა მესამე კვარტალში.

**ო. ბუბაშვილი,**
**ქ. ტყიბულის სამრეწველო კომბინატის უფროსი.**

**ჩვენი** სამრეწველო კომბინატი — ქალაქ ტყიბულის ზონის ერთ-ერთი მძლავრი საწარმო სეროიზული ამოცანების წინაშე დგას. მისმა კოლექტივმა, ძირითადად ადგილობრივი რესურსების გადამუშავებით, წელს 2740 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა გამოუშვას. ეს შარშანდელზე გაცილებით მეტია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზრდა მიღწეული იქნება წარმოების გაფართოების გზით.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ურიგო მაჩვენებლები როდი გვაქვს. საერთო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო დავალება 103 პროცენტით შეესრულეთ, რეალიზაციისა 100,5 პროცენტით. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 4,7 პროცენტით გაიზარდა. გადაჭარბებით შესრულდა თვითღირებულებისა და მოგების დავალებები.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ მიღწეული განვლილი ეტაპია და თანაც იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ვერ იქნა და ვერ დავძლიეთ პროდუქციის ასორტიმენტის გამოშვებასთან დაკავშირებული სიძნელეები.

დავიწყოთ აგურის საამქროთი. ეს უბანი, რომელიც ამ ოთხი ათეული წლის წინათ აიგო, მთლიანად ამორტიზებულია და მისი მანქანა-დანადგარები ვერ უზრუნველყოფს იმდენი აგურის გამოშვებას, რამდენსაც სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს. შარშან საამქროს ტექნიკურ-ეკონომიკურ ანგარიშებზე ... ... ...

# საერთაშორისო ცხოვრება ტელეტიპის ზურგზე

*გვეპყობინებენ საქმესისა და ახალი ამბების საკორესპონდენტები*

# საკდესი უარყოფს

**ირანის ქურთისტანის ცნობილ ამბებთან დაკავშირებით ირანის ზოგიერთი გავლენიანი პირი და პრესის ორგანო თეირანში აკეთებენ განცხადებებს, თითქოს საბჭოთა კავშირს „წილი ედოს“ ამ ამბებში. გაზეთი „ქეიჰან ინტერნეშნლი“ კი იმასაც ამტკიცებს, თითქოს „საბჭოთა თვითმფრინავები ღამით დაფრინავდნენ ქურთისტანის თავზე და იარაღსა და საჭურველს უყრიდნენ აჯანყებულებს“.**

**საკდესს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს აღნიშნული განცხადებანი, ისევე როგორც გაზეთ „ქეიჰან ინტერნეშნლის“ ნაყალბევი, რომლებსაც არავითარი საფუძველი არა აქვთ და თავიდან ბოლომდე მონაჩმახია.**

# მდგომარეობა ირანის ქურთისტანში

**თეირანი**, 4 სექტემბერი. ირანის ქურთისტანში გრძელდება მთავრობის ჯარების საერთო შეტევა ქურთ აჯანყებულთა პოზიციებზე. აჯანყებულები მოითხოვენ ამ რაიონისათვის ეროვნული ავტონომიის მინიჭებას. ირანის არმიის რეგულარული ჯარები და „ოვეოლუციის გუშაგთა“ ქვეგანაყოფები ტანკების, არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით საბრძოლო ოპერაციებს აწარმოებენ. როგორც თეირანის რადიო იუწყება, აჯანყებულებს დიდი დანაკარგები აქვთ. 3 სექტემბერს მთავრობის ჯარებმა, რომლებმაც დაძლიეს ქურთთა შეუპოვარი წინააღმდეგობა, ხელთ აგდეს ქალაქი პირანშეჰრი, აგრეთვე შეიიდნენ მეჰაბადის გარეუბნებში. ამ ქალაქის რელიგიურმა მოღვაწეებმა აიათოლა ხომეინის გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ხელისუფალთ ბრალად დასდეს „ქურთების ჟლეტა“.

ჰამადანის ჯავშანსატანკო ბრიგადა, როგორც რადიო იუწყება, მძიმე ბრძოლებით მიიწევს ქალაქ ბანეს მიმართულებით. ბრიგადის მოქმედებას უზრუნველყოფენ ვერტმფრინავები, რომლებიც ცეცხლით ეხმარებიან ჯარებს. ვერტმფრინავები და თვითმფრინავები, ნათქვამია რადიოს ცნობაში, ქურთთა დასახლებებში ავრცელებენ ფურცლებს, რომლებშიც მოითხოვენ დაღირონ იარაღი და ხელი შეუწყონ არმიას ირანის ქურთთა დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების მოსპობაში.

აქ გაავრცელეს ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც გაზეთებმა „ქეიჰანმა“ და „ბამდადმა“ გამოაქვეყნეს.

ეზები რა დაძაბულ ვითარებას, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, პარტია გაფრთხილებას იძლევა, რომ, თუ რევოლუციის ერთგული ძალები ვერ ალაგმავენ რეაქციას, შეიძლება ირანის რევოლუციის საქმე უკუღმა დატრიალდეს. მთელი რიგი ეკონომიკურ-გაზეთების, მათ შორის ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოს გაზეთი „მარდომის“ დახურვა, პარტიის წარმომადგენლობათა გაანადგურება ქვეყნის სხვა ქალაქებსა და პროვინციებში, პარტიის წევრებსა და მომხრეებზე თავდასხმები, მათ შორის ქერმანშაჰში გაუსამართლებლად ირანის სახალხო პარტიის ორი წევრის სიკვდილით დასჯა, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ ექსტრემისტთა ჯგუფებთან და ქურთისტანის ამბებთან, — ყოველივე ეს მოწმობს, რომ მემარჯვენეთა მოქმედება სრულიადაც არ არის მიმართული რეაქციისა და შაჰის რეჟიმის მომხრეთა წინააღმდეგ.

სწორედ ამერიკის იმპერიალიზმი, სიონიზმი და შაჰის ყოფილი რეჟიმის აგენტები, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი პრივილეგიები ირანში, თესავენ შეღლილ ირანელ ხალხს შორის, ცდილობენ შექმნან პოლიტიკური კრიზისი ქვეყანაში და გააჩაღონ სამოქალაქო ომი, ნათქვამია ირანის სახალხო პარტიის წერილში.

ირანის სახალხო პარტია მუდამ იყო და არის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლი ამერიკის იმპერიალიზმის, სიონიზმისა და ფეპლევის რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი პარტია დიდხანს იყო ერთადერთი ძალა, რომელიც აერთიანებდა ყველა ირანელ მებრძოლს ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. წერილი შეიცავს მოთხოვნას, რომ ბოლო მოეღოს ირანის სახალხო პარტიის შევიწროებას, გაუქმდეს „მარდომისა“ და სხვა გაზეთების აკრძალვა, რევოლუციურ პროკურორებსა და სხვა პასუხისმგებელ ორგანოებს მიეცეთ მითითება, რათა პარტიის საქმიანობას იცავდეს კანონი ექსტრემისტთა ჯგუფების, საგაკელთა და რეაქციის თავდასხმებისა და დარბევისაგან.

წერილის მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ქურთისტანის ამბებს. ჩვენი აზრით, ნათქვამია წერილში, ქურთთა საკითხი არც გუშინდელი და არც დღევანდელი პრობლემა არ არის. ირანის ქურთისტანის პრობლემას რთული ისტორიული, გეოგრაფიული და ეროვნული ფესვები აქვს. ამ პრობლემების ერთადერთი გონივრული გადაწყვეტა იქნება ის, თუ ქურთებს მიენიჭებათ ავტონომია ირანის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთიანობის ფარგლებში. ირანის სახალხო პარტია მზად არის ყველაფერი იღონოს, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა ქურთთა პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის და ამ მიზნით წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ შეწყდეს ორივე მხარის სამხედრო მოქმედება, რევოლუციური სასამართლოების საქმიანობა და მოეწყოს მოლაპარაკება პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის შემუშავების მიზნით.

# ჰავანის ფორუმი

**ჰავანა**, 4 სექტემბერი. ჰავანის კონგრესთა სასახლეში გუშინ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მეუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-6 კონფერენცია. მეუმხრობლობის მოძრაობის ამ უმაღლესი ფორუმის დღის წესრიგშია დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია განთავისუფლებისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის ხალხთა ბრძოლასთან.

# რაჯეშვარა რაოს წერილი

**დელი**, 4 სექტემბერი. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა რაჯეშვარა რაომ მიიღო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინდოეთის კომუნისტური პარტია, ინდოეთის მთელი პროგრესული ძალები სრულ სოლიდარობას უცხადებენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ამერიკა-ჩინეთის შეთქმულების ობიექტი გახდა. ამერიკელ იმპერიალისტებსა და ჩინელ ჰეგემონისტებს არ სურთ შეურიგდნენ ერთიანი, ძლიერი ვიეტნამის არსებობას, რომელიც ყველა ხალხისათვის ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმბოლოა, აღნიშნულია წერილში. ოღონდ შეასუსტონ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა და ვაშინგტონი და პეკინი ყველაფერს კადრულობენ.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი, ვიეტნამმა დაამტკიცა, რომ შეუძლია ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სახელით რ. რაომ მიულოცა ვიეტნამის კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული.

# ჰ. შმიდტის ინტერვიუ

**ბონი**, 4 სექტემბერი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰ. შმიდტმა გამოთქვა რწმენა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მიერე ხელშეკრულების განხორციელება ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების პროცესზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ჰ. შმიდტმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში თავისი ვიზიტის დაწყებასთან დაკავშირებით ინტერვიუ მისცა უნგრეთის ტელევიზიას და თქვა: მჯერა, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნება უკვე წელს როგორც ვაშინგტონში, ისე მოსკოვში, და ეს დადებით ძვრებს გამოიწვევს მრავალ დარგში. უწინარეს ყოვლისა, კარგ გავლენას მოახდენს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე, აგრეთვე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მესამე ხელშეკრულების შესახებ მომავალ მოლაპარაკებაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებულია დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობით. მან მშვიდობის საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი უწოდა თავის მოლაპარაკებას სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს თ ა ნ ლ. ი. ბრეჟნევთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან.

ჩემი ღრმა რწმენით, თქვა ჰ. შმიდტმა, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება ურთიერთნდობას უნდა ეშყარებოდეს.

# ინფორმაციის ნაწილი დაიკარგა

**სან-ფრანცისკო**, 4 სექტემბერი. მზის აქტიურობის მოულოდნელი გაძლიერების შედეგად დაიკარგა ნაწილი ინფორმაციისა, რომელსაც გადმოსცემდა ამერიკის სპპლანეტთაშორისო ავტომატური სადგური „პიონერ-11“. სადგურმა, რომელიც აჩქამად დედამიწიდან ერთნახევარ მილიარდ კილომეტრზე მეტ მანძილზე იმყოფება სატურნის მახლობლად, მოაწყო სამეცნიერო კვლევა, აგრეთვე გადაიღო პლანეტა ურანის ბუნებრივი თანამგზავრი — ტიტანი.

ამერიკელი მეცნიერები განსაკუთრებით შეწუხებული არიან იმით, რომ დაიკარგა ინფორმაცია, რომელიც შეიცავდა ინფრაწითელი აპარატურის დახმარებით მიღებულ ტიტანის ზედაპირის გაზომვის მონაცემებს. სწორედ ამ მონაცემებს შეეძლო მნიშვნელოვნად დახმარებოდა მეცნიერებს ტიტანზე სიცოცხლის არსებობის შესახებ საკითხის გადაწყვეტაში.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა ეროონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტები კმაყოფილნი არიან „პიონერ-11“-ის მისიის შედეგებით.

*მოკლედ*

# ყოველი მხრიდან

*4 სექტემბერი*

**მადრიდი.** სან-სებასტიანში დემონსტრაციის დარბევის დროს პოლიციის მხეცობის წინააღმდეგ 24-საათიანი საყოველთაო გაფიცვა მოეწყო. მასობრივმა მანიფესტაციებმა გზები ჩაკეტეს ქალაქებში და ახლომდებარე ავტოსტრადებზე გაფიცულთა დასაშლელად გამოიყენეს პოლიციის დიდი რაზმები. „წესრიგის დამცველებმა“ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზის ყუმბარები და რეზინის ტყვიები.

●

**დელი.** ბანგალორში გაიმართა ინდოეთის სამხრეთის მშრომელ ქალთა კონფერენცია. მისმა მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიუხედავად მთელი რიგი პროგრესული რეფორმებისა, რომლებიც დამოუკიდებლობის წლების მანძილზე გატარდა ქვეყანაში, ქალების მდგომარეობა კვლავ მძიმეა. ისინი დასაქმებულნი არიან ყველაზე მძიმე სამუშაოებზე, მამაკაცებთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებ ხელფასს იღებენ. კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს ქალებისა და მამაკაცების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ კანონების მკაცრად დაცვა, უფროსურობასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება.

●

**ოტავა.** კანადა მორიგმა ეკონომიკურმა დაქვეითებამ მოიცვა. გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი 2,8 პროცენტით შემცირდა. მთავრობის წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაქვეითება ქვეყანაში უმუშევართა არმიის ზრდას გამოიწვევს.

●

**ამანი.** ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლებმა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე სოფელ ხუსანში გადაიყვანეს უშიშროების ძალების შეიარაღებული რაზმები, რათა ჩაახშონ იქ ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლები. სოფლის მცხოვრებლებმა პროტესტი განაცხადეს ისრაელის ხელისუფალთა აღვირახსნილობის წინააღმდეგ. მათ ძალით წაართვეს რამდენიმე არაბ გლეხს 40 ჰექტარი მიწა გადმოსახლებული ებრაელებისათვის. ისრაელებმა, რომლებიც ახლომდებარე დასახლებებში ცხოვრობენ, აღიარეს, რომ მითითებულ არაბების კუთვნილი მიწის ნაკვეთები.

*წერილი „კომუნისტის“ რედაქციას*

# ჩემი განმარტება

**გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 4 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა პროფესორ რევაზ ბარამიძის წერილი, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ალმანახ „განთიადის“ მესამე ნომერში მოთავსებული შ. ადეიშვილის წერილი „არჩილ მეფე და რუსთაველი“. როგორც არახპეციალისტი, მე ბევრს ვერაფერს ვიტყვი ადეიშვილის ნაშრომის ავ-კარგზე. ჩვენი ალმანახი ასეთი ხასიათის წერილებს ბეჭდავს სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებისა და სპეციალისტების რჩევა-რეკომენდაციით. მე მინდა მხოლოდ პასუხი გავცე კრიტიკოსის გაოცებულ კითხვას, რითაც ის თავის წერილს ამთავრებს: „ასეთი ნაფიქრალი და ნაცოდვილარი რაღაც მანქანებით მაინც ისტამბებაო“.**

**პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პატივცემულმა პროფესორმა ცოტა მეკერძოება გამოიჩინა და ძალიან მარჯვედ გადაახტა წერილის მოკლე წინასიტყვაობას, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე. ეს წინასიტყვაობა კი გვამცნობს, რომ შ. ადეიშვილის წერილი ამოღებულია მისი ნაშრომიდან — „რუსთაველის წვლილი კულტურის საგანძურში“, რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის წარდგენით განიხილა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ და ძირითადად მიიღო გამოსაქვეყნებლადო.**

**თავად აკადემიკოსი ვ. კუპრაძე კი ასე აფასებს ამ ნაშრომს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ადეიშვილის წერილს ინტერესით წაიკითხავს რუსთაველის მოყვარული მკითხველი“.**

**ამავე დროს ჩვენ ხელთ გვჭონდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1975 წლის ივლისის სხდომის ოქმის ამონაწერი. ეს ამონაწერიც გვამცნობს, რომ „საბჭომ განიხილა შ. ადეიშვილის შრომა „რუსთაველის წვლილი კულტურის საგანძურში“ და დაადგინა: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ გამოქვეყნდეს დოც. შ. ადეიშვილის შრომა „რუსთაველის წვლილი კულტურის საგანძურში“. ამავე სხდომაზე შ. ადეიშვილის ნაშრომს რედაქტორებიც კი დაუნიშნეს: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ნათაძე და ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გოგობერიშვილი.**

**დიდად საინტერესოა აგრეთვე ამონაწერი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს 1977 წლის 25 აპრილის სხდომის ოქმიდან:**

**„აკადემიკოსმა ვიქტორ კუპრაძემ აღნიშნა, რომ რუსთაველოლოგები თავიანთ შრომებს წერენ არა მარტო ვიწრო სპეციალისტებისათვის, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ, მათემატიკოსები, არამედ საზოგადოებისათვის, დაინტერესებული არასპეციალისტებისთვისაც, ამიტომ არასპეციალისტებს ზოგად დონეზე მაინც შეუძლიათ შეაფასონ რუსთაველოლოგის ნაშრომის და რეცენზიის ღირსება-ნაკლი. მე არა ვარ სპეციალისტი რუსთაველოლოგი და არ ჩავერევი საკითხის დეტალებში, მაგრამ ზოგად დონეზედაც ვხედავ, რომ შ. ადეიშვილის ნაშრომი შეიცავს ფართოდ დამუშავებულ ახალ ორიგინალურ კონცეფციას. მაგალითად, აზუქებს პოემის იდეებს მიხი სიუჟეტის არქიტექტონიკის მიხედვით, რაც მეტად საინტერესოა. მე ვერ ვიტყვი, რამდენად ზუსტია ავტორის დასკვნები, მაგრამ თვითონ საკითხებს დაყენებაც საინტერესოა და პერსპექტიული, ამიტომ ამ საქმეს უნდა მიეცეს სრული გასაჭანი.**

**ამავე დროს, მეორე მხრივ ვხედავ, რომ რუსთაველოლოგებმა წარმოადგინეს უარყოფითი რეცენზია ისე, რომ შალვა ადეიშვილს არსებითად არ ეხებიან, ედავებიან ავტორს მხოლოდ არაარსებით დეტალებში, სახელდობრ ომაში, თუ საიდან არის მოტანილი სახელები აბესალოლი და ეთერი ჩაზრუხაძის „თამარიანში“, ბიბლიიდან თუ ხალხური თქმულებიდან. არ არის საჭირო იყო სპეციალისტი, რომ დარწმუნდე ამგვარი რეცენზიის უვარგისობაში.**

**გარდა ამისა ცნობილია, რომ შ. ადეიშვილი მუშაობს რუსთაველის საკითხებზე 50 წელია. მისი ადრინდელი ნაშრომი რუსთველის სპარსულ მწერლობასთან დამოკიდებულების შესახებ მოწონებულია ივანე ჯავახიშვილის მიერ, მაგრამ ეს ნაშრომი ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია რუსულ, აზერბაიჯანულ და არა ქართულ ენაზე. ეს მიწმობს, რომ ჩვენს რუსთველოლოგიაში ჯერ-ჯერობით არ არის დაწესებული მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ნორმალური ატმოსფერო. ასეთ ვითარებაში გაუმჯობესებელი ტენდენციები. აკადემიის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოში რუსთველოლოგებმა შემოიტანეს რეცენზია, რომელშიც არც ერთი პრინციპული დებულება არ არის გარჩეული, სამაგიეროდ ბევრია ისეთი ეპითეტები, როგორიცაა ოდიოზური, კურიოზული, კომიკური და სხვა. ასეთი რეცენზია ვერ იქნება საფუძველი შ. ადეიშვილის ნაშრომის დაწუნებისათვის. პირიქით, იგი გვაძლევს საფუძველს ვიზრუნოთ თვით რუსთველოლოგიაში მეცნიერული მუშაობის საერთო ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. შ. ადეიშვილის ნაშრომი ჩემი აზრით უნდა დაიბეჭდოს“.**

**ასევე უარყოფითად შეაფასეს რუსთველოლოგთა მიერ ჭარმოდგენილი რეცენზია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 1976 წლის 27 აპრილის სხდომაზე ამავე ინსტიტუტის განყოფილებების გამგეებმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გელა ბანძელაძემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შალვა ხიდაშელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ ნათაძემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა კოტე სანაიამ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვაჟა გოგობერიშვილმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა რომან შენგელიამ და სხვებმა. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ „ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების დასკვნას აშკარად ემჩნევა ტენდენციურობა.“**

**ასეთი რეკომენდაციებისა და თავგამოდებული მხარდაჭერის შემდეგ, მე როგორც რედაქტორს, რა ზნეობრივი უფლება მქონდა უარი შეთქვა ამ წერილის დაბეჭდვაზე.**

**აი, რა მანქანებით გამოქვეყნდა ხსენებული წერილი ალმანახ „განთიადში“.**

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

**სარედაქციო მინაწერი: ჩვენი გამოჩენილი მწერლისა და პუბლიცისტის, ალმანახ „განთიადის“ მთავარი რედაქტორის კონსტანტინე ლორთქიფანიძის განმარტებას რომ ბეჭდავს, რედაქცია ყურადღებას ამახვილებს ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებაზე: მეცნიერების, როგორც შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელია აზრთა ჭიდილი, ჯანსაღი, პრინციპული და მიუკერძოებელი კამათი. ამიტომ რედაქცია უფლებას იტოვებს ერთი და იმავე საკითხის გამო მკითხველი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოიტანოს იმდენი სხვადასხვა აზრი (რა თქმა უნდა მეცნიერული, ლოგიკური), რამდენიც საჭირო იქნება ჭეშმარიტების დასადგენად.**

**ამიტომ, ბუნებრივია, რუსთველოლოგიის მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, ვფიქრობთ, ხელაღებით არ უნდა ქვეყნდებოდეს კერძო, ვინმესუბიექტური, მეცნიერებისაგან შორს მდგარი მოსაზრებანი, რომ ყოველი ახალი რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელსაც აღმოჩენებისა და სრულიად ახალი კონცეფციების ჩამოყალიბების პრეტენზია აქვს, უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებების და მეცნიერ რუსთველოლოგთა ერთობლივი დასკვნის შემდეგ.**

**განა მტკიცება სჭირდება იმას, რომ მეცნიერული კვლევა-ძიების ინტერესები მაღლა დგას თვით მეცნიერზე, ყველა ავტორსა და რეცენზენტზე? და განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ პირუთვნელი, საბუთიანი კრიტიკა შემწყნარებლურ, შეგნებულ დამოკიდებულებას მოითხოვს ყველა მეცნიერისაგან, გაკრიტიკებული ნაშრომის ავტორისაგან?**

# ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების ინტერესებისათვის

**ტაშკენტი**, 3 სექტემბერი. (საკდესის კორ.). აქ გაიხსნა ჟურნალისტთა საერთაშორისო სემინარი, რომელიც მოაწყვეს სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიამ და სსრ კავშირისა და უზბეკეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირებმა. 50-ზე მეტი ქვეყნის, მათ შორის ბევრი განვითარებადი ქვეყნის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თვალსაჩინო მოღვაწენი, საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შეიკრიბნენ უზბეკეთის დედაქალაქში, რათა განიხილონ აქტუალური პრობლემები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წინაშეა დასახული, გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაციის ეროვნული სისტემების შექმნისა და ჟურნალისტთა კადრების მომზადების გამოცდილება.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას სემინარის მონაწილეებისადმი. მისალმება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა.

შემდეგ მან გააკეთა მოხსენება „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში“.

იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ა. მ. მბოუმ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან როლს, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასრულებენ ხალხთა ურთიერთგაგებისა და ერთა შორის თანხმობის კლიმატის შექმნის საქმეში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. მან ჟურნალისტთა საერთაშორისო ფორუმს უსურვა ნაყოფიერი დისკუსიები და დიდი წარმატება.

მიუმხრობელი ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოთა საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. რ. მანკეკარმა ყურადღება მიაპყრო არანორმალურ სიტუაციას, რომლის დროსაც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობენ ახალგაზრდა განვითარებად ქვეყნებს თავს მოახვიონ მსოფლიოს მოვლენების დამახინჯებული სურათი. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა კ. ნორდენსტრენგმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა პრესა პასუხისმგებლობით მიუდგეს საერთაშორისო მოვლენების გაშუქებას, ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ინფორმაციის საშუალებათა კონკრეტული წვლილი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის სულისკვეთებით ხალხთა დაახლოების საქმეში.

სემინარი მუშაობას განაგრძობს.

# დიალოგი გრძელდება

## საბჭოთა და ამერიკელ მწერალთა შეხვედრა ქ. ბათუმში

**საბჭოთა** კავშირ-ამერიკის მწერალთა მესამე შეხვედრის წინ ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის“ დარბაზის გრძელმა მაგიდამ, რომელსაც 4 სექტემბერს შემოესხდნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მწერლები, ბევრ მათგანს ორი წინა შეხვედრა მოაგონა. 1977 წლის ზაფხულში ასეთივე მაგიდის გარშემო ისხდნენ ისინი მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში და საუბრობდნენ საბჭოთა და ამერიკული ლიტერატურების კავშირურთიერთობების შესახებ. შემდეგ ნიუ-იორკი, 1978 წლის გაზაფხული, ამერიკის აკადემიისა და ხელოვნების და ლიტერატურის ინსტიტუტის ძველებური შენობა, ცხოველი შემოქმედებითი დისკუსია თანამედროვე რომანის პრობლემებისა და თანამდროვეობის სამყაროში მწერლის ადგილის შესახებ.

ყველა ჟურნალ-გაზეთის ანგარიშებში ამ შეხვედრების შესახებ, ნებსით თუ უნებლიეთ, მეორდებოდა ფრაზა: „ერთი მაგიდის გარშემო...“. შემოქმედებთს საუბარში თანამოკალმეთა გაერთიანების თვით ფაქტი მნიშვნელოვანი და შთამაგონებელი იყო. ნაყოფიერი და საინტერესო პაექრობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ორი ქვეყნის ცნობილი მწერლები, იმედს გვისახავდა, რომ საბჭოთა ლიტერატორების ინიციატივით წამოწყებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ლიტერატურულ კავშირურთიერთობათა განვითარებისა და გაღრმავების კონსტრუქციული ხაზი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ორი ქვეყნის ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის დამყარებაში.

იგივე მიზანი აქვს ბათუმის შეხვედრას, რომლის თემას — „ლიტერატურა სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში“, ალბათ საინტერესო დისკუსია მოჰყვება. რაოდენ გრძელიც უნდა იყოს მონაწილეთა ნუსხა, იგი მაინც მთლიანად უნდა მოვიყვანოთ — ეს თავისთავად საინტერესო და საგულისხმოა.

საბჭოთა ლიტერატურას წარმოადგენენ გრიგოლ აბაშიძე, გრიგოლ ბაკლანოვი, დანიელ გრანინი, ნოდარ დუმბაძე, იზაბელა ზორინა, ვიტალი კოროტიჩი, დავით კუგულტინოვი, ფილიქს კუზნეცოვი, ალექსანდრე მეჟეროვი, იოსებ ნონეშვილი, მიკოლას სლუცკისი, ვლადიმერ სოლოუხინი. შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობენ გიორგი ჟორჟოლიანი, რომან მიმინოშვილი, ფრიდონ ხალვაში. ამერიკის დელეგაციაში შედიან ფრანსინა გრეი, ჯეიმს რიდი, უილიამ ჯეი სმიტი, ფრედერიკ სტარი, ჰარისონ სოლსბერი, სტენლი კუნიცი, ვერა დანემი და ეიღინ როკფელერი. დელეგაციებს ხელმძღვანელობენ შეხვედრების უცვლელი თანთავმჯდომარენი: საბჭოთა კავშირის მხრივ — ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნიკოლოზ ფედორენკო, ამერიკის მხრივ — ჟურნალ „სათერდი რევიუს“ რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე ნორმან კაზინსი.

უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სწორედ მათ გახსნეს მწერალთა ბათუმის შეხვედრა.

მიმართა რა შეხვედრის მონაწილეებს, ნ. ფედორენკომ, კერძოდ, თქვა:

— ქალაქი ბათუმი, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოფებით და რომელიც ჩვენი შეხვედრების ადგილი გახდა მოსკოვისა და ნიუ-იორკის შემდეგ, დაარსდა კოლხეთად წოდებულ ძველ ქართულ მიწა-წყალზე, რომელსაც არაერთხელ ახსენებს ჰომეროსი „ილიადაში“. ბათუმის მახლობლად აღმართულია კავკასიონის მწვერვალები, სადაც, გადმოცემით, კლდეზე მიჯაჭვეს ღმერთებთან შებრძოლი პრომეთეოსი — ოლიმპოდან ცეცხლი რომ მოიტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა. აქვე ოქროს საწმისისათვის ჩამოვიდნენ არგონავტები. ეს არის მითური მედეას სამშობლო, რომელზეც ორი ათასი წლის წინათ შეიქმნა შთამბეჭდავი კლასიკური ტრაგედიები..

მწერალი საქართველოში მუდამ ხალხის წინამძღოლი, მებრძოლი, აქტიური მოღვაწე იყო. სწორედ ამიტომ 100 წლის წინათ განთავისუფლებულ ბათუმში პირველი ეროვნული სკოლა გახსნილია ჭავჭავაძემ — დიდმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ.

საქართველოსთან არის დაკავშირებული რუსული ლიტერატურის გენიოსების — პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის სახელები. აქ, ბათუმში, დიდმა რუსმა დრამატურგმა ალექსანდრე ოსტროვსკიმ ზღვისპირა პარკში მაგნოლია დარგო. აქ ყოფილან ანტონ ჩეხოვი, მაქსიმ გორკი და სხვა რუსი მწერლები. სწორედ ამ ქალაქში შექმნა სერგეი ესენინმა თავისი საუკეთესო ნაწარმოებები.

ქალაქში, სადაც ჩვენ სტუმრად ვიმყოფებით, ყოფილან რაბინდრანატ თაგორი, ანრი ბარბიუსი, თეოდორ დრაიზერი. 1948 წელს ბათუმის თეატრის სპექტაკლს „ოიდიპოს მეფეს“ დაესწრო ჯონ სტეინბეკი, რომელმაც შემდეგ დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა ამ დადგმის გამო.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ბათუმი, საქართველოს ეს ძველთაძველი ქალაქი, მარტო ქართველი მწერლების შემოქმედებას როდი უწყობდა ხელს. ეგებ ჩვენს აქაურ შეხვედრასაც თავისი ისტორია ექნეს. ვინ იცის, გავა დრო და ჩვენი შეხვედრაც იქცევა თქმულებად, რომელშიც ქკვლევარები-მოძებნიან ნამდვილი ამბების გამოძახილებს..

... ჩვენი უკან

ადამიანი და გარემო

# წყალი სიცოცხლის წყაროა

**თანამედროვე** საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავი წყალია. მართალია, ამჟამად მთელ მსოფლიოში იყენებენ მტკნარი წყლის საერთო მარაგის დაახლოებით 10 პროცენტს, მაგრამ სუფთა წყლის ნაკლებობის პრობლემა დღის წესრიგში მაინც დგას.

ზოგიერთ ქვეყანაში ამ საქმისადმი კონტროლის მოუწესრიგებლობის გამო სუფთა სასმელი წყალი იმპორტის საგანიც კი ხდება. მაგალითად, კანადის ფირმა „დრაი კორპორეიშნი“ ყიდის სასმელ წყალს კალიფორნიაში. ამერიკის მაღაზიებში შეხვდებით აგრეთვე საფრანგეთიდან ჩამოზიდულ წყაროს წყალს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყეს სასმელი წყლის შემოტანა შვეიცარიიდან, მაგრამ ბუნებრივი პროცესების წონასწორობის დარღვევები უკვე საეჭვოს ხდის ინდუსტრიულად განვითარებული შვეიცარის წყლის ხარისხს. ამგვარი მაგალითები, სამწუხაროდ, ძალიან ბევრია.

ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივი პროცესების წონასწორობის შენარჩუნება ძირითადად მოწესრიგებულია, რადგან ბუნების დაცვა და შენებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება სახელმწიფო მფარველობაშია, მას იცავს საბჭოთა კონსტიტუცია. ამასთან ბუნების დაცვის არსებული კანონების გარდა ჩვენში არის ისეთი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს იმ სამინისტროებსა და უწყებების მუშაობას, რომლებიც ბუნებრივი რესურსების შესწავლასა და ათვისებას ეწევიან, მაქსიმალურად უკავშირებს ერთმანეთს მეცნიერებასა და წარმოებას. ეს ორგანოა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ამ მხრივ, მაგრამ წყლის პრობლემა მაინც დიდ ყურადღებას საჭიროებს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს:

საქართველოში გაჭუჭყიანებული წყლის რაოდენობა შეადგენს 632 მილიონ კუბურ მეტრს წელიწადში, რომლიდანაც გამწმენდ ნაგებობებზე გადის 140 მილიონი კუბური მეტრი. ნორმატიულის დაცვით კი იწმინდება მხოლოდ 104 მილიონი კუბური მეტრი. ამრიგად, ჩვენს ანკარა მდინარეებსა და წყალსატევებში ყოველწლიურად ჩაედინება თითქმის ნახევარი მილიონი კუბური მეტრი გაჭუჭყიანებული წყალი. ამიტომ არის, რომ ჩვენში მუშავდება საკითხი დარგობრივ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ჩამოყალიბების შესახებ. ვათ დაეკისრებათ ბუნებრივი პროცესის ყველა ციკლის მართვა.

ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება და საწარმოო ძალთა თანამედროვე განვითარების სწრაფი ტემპი კაცობრიობას უმნიშვნელოვანეს სიმდიდრეთა აუნაზღაურებელი დანაკარგებით ემუქრება.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს გაბედულ, გლობალურ ჩარევას, თორემ საზოგადოება შეიძლება ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს.

საზოგადოებისა და ბუნების ინტერესების რთული ურთიერთობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ღრმა მეცნიერულ ანალიზს, ეს უკანასკნელი კი მისაწვდომია მხოლოდ იმ მეცნიერებისა ან მეცნიერებათა სისტემისათვის, რომელიც უკვე ფლობს ბუნების კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულების ყველა ასპექტის კვლევისა და შეფასების თანამედროვე საშუალებებს. ასეთი მეცნიერებაა თანამედროვე კონსტრუქციული გეოგრაფია, რომელიც, აკადემიკოს ი. გერასიმოვის აზრით, უნდა გადაიქცეს სრულიად ახალ მეცნიერებად. მისი საფუძველი კაცობრიობის გეგმაზომიერი განვითარების თეორიაა. ამიტომ ი. გერასიმოვი გეოგრაფიის ძირითად ამოცანად მიიჩნევს გარემოს არა ტრადიციულ შეცნობას, არამედ მის გეგმაზომიერ და აზრიან გარდაქმნას.

გეოგრაფიის მეცნიერების მიღწევები და მისი მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღრმად ჩასწვდებიან გეოგრაფები ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კავშირის არსს, რამდენად შეძლებენ შეაჯამონ და სისტემაში მოიყვანონ მოზღვავებული ინფორმაცია და იგი თეორიად აქცეონ.

ჯერჯერობით კი საბუნებისმეტყველო განხრის სამეცნიერო დაწესებულებების თემატიკის დიდი სიჭრელე, სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაციის თანამედროვეობასთან უკვე შეუფერებელი სტრუქტურა და სასტტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ხელს უშლის კაცობრიობის ძირითადი პრობლემის — ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის შესაძლებლობის სრულყოფილ გამოკვლევას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის განვითარების ზუსტ პროგნოზირებას.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა და კვლავაც გაიზრდება. მაგალითად, მომავალ ათწლეულში საქართველოს სარწყავი მიწების ფონდი 392-დან 600 ათას ჰექტარამდე უნდა გადიდდეს. ამისათვის კი საჭირო გახდება წყლის დამატებითი რესურსების მოკვლევა. მათი სწორი ჰიდროლოგიური და მეურნეობრივი შეფასება წყლის პრობლემებზე მომუშავე ყველა სამეცნიერო თუ საპროექტო ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა.

ჰიდროლოგიის მეცნიერებაში უკანასკნელ ხანს მკაფიოდ ვლინდება ინტეგრაციის პროცესი, რომელიც გაღრმავებულ დარგობრივ კვლევასთან ერთად მიგვიყვანს წყლის რესურსების დაცვისა და მათი სამეურნეო გამოყენების პრობლემების კომპლექსურ გადაწყვეტამდე. საჭიროა, რომ ყოველგვარი წყალი, იქნება ის ზედაპირული თუ მიწისქვეშა, განვიხილოთ ერთიანობაში და ურთიერთკავშირში. შემდგომში უნდა მოხდეს წყლიანობის რყევისა და წყალცვლის როგორც მსხვილმასშტაბიანი, ისე გლობალური კანონზომიერებების დადგენა და მათი საფუძველი შესწავლა. ამისათვის კი მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი უნდა დამყარდეს ჰიდროლოგიაში, ჰიდროგეოლოგიაში, ოკეანოლოგიაში, მეტეოროლოგიასა და სხვა მომიჯნავე დარგებში მომუშავე მეცნიერთა შორის.

მაგალითისათვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საირიგაციო მიზნებისათვის იყენებენ მხოლოდ ზედაპირულ წყლებს, მაშინ, როდესაც მიწისქვეშა წყლების უზარმაზარი მარაგი გვაქვს. ამავე დროს ცნობილია, რომ მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში სარწყავად ათვისებულია იქ არსებული მიწისქვეშა წყლების თითქმის ნახევარი.

წყლის პრობლემებზე მომუშავე ჩვენმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მეტი ქმედითობა უნდა გამოიჩინონ ყოველდღიურად მზარდი პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მეტი ყურადღება დაუთმონ სახალხო მეურნეობის კონკრეტულ ამოცანებს. ამისათვის კი უკიდურესად საჭიროა დამუშავდეს წყლის რეკომენდაცია და წყლის ბალანსზე მიზანდასახული ზემოქმედების პრინციპები, აუზთშორისი ხელოვნური წყალცვლის, წყლის ოდენობასა და ბუნებრივ რეჟიმზე გავლენის დახვეწილი გეგმები. საჭიროა მეცნიერული კვლევა გაიშალოს ცალკეული მდინარეებისა და მათი შენაკადების წყალშემკრები აუზების დონეზე. ჩამოყალიბდეს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სამეცნიერო ანალიზზე დაფუძნებული დიფერენციალური ბალანსური სქემები.

ყოველ დიდ საზრუნავს ძლიერი და უნარიანი პატრონი სჭირდება, რომელიც გასწვდება როგორც მეცნიერებას, ისე მის საფუძველზე შესრულებულ დაპროექტებას და ჩანაფიქრის ხორცშესხმას. ასეთ საზრუნავად გვესახება წყალი, ხოლო მის პატრონად კი უაღრესად თანამედროვე ფორმა სამსახურისა — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება (დაკვირვება, კონტროლი, რეგულირება). წყლის პრობლემების სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს მეცნიერთა თეორიული გამოკვლევების საინტერესო და დასაბუთებული შედეგები შაქსმალურად და სწრაფად დავაკავშიროთ პრაქტიკასთან. პრაქტიკა კი წყლის რესურსების არა მარტო რაციონალური გამოყენებაა, არამედ მათი გაჭუჭყიანებისა და გაღარიბებისაგან დაცვა თანამედროვე საზოგადოებისა და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

**გ. გიგინეიშვილი,**
**გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

---

გუშინდელი ფოსტიდან

## მკითხველის კალმით

### გმირი პენსიაზე გააცილეს

**ბორჯომი.** იმ დღეს მინის ტარის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები პენსიაზე აცილებდნენ ვეტერან ფუშას, სოციალისტური შრომის გმირს ალექსი შუბითიძეს.

საღამოზე კოლეგები, ამხანაგები და მეგობრები დიდხანს საუბრობდნენ ა. შუბითიძის ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობაზე. ბოლოს მან მადლობა გადაუხადა კოლექტივს დაფასებისა და გულთბილი შეხვედრისათვის.

ვ. ლომსაძე.

### უფროსების მხარდამხარ

**კასპი.** ქვემო ჭალის საშუალო სკოლის მეათეკლასელებმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩენა გადაწყვიტეს. მოსწავლეთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს რაიონის ხელმძღვანელობამ და კოლმეურნეებმა. ისინი ეხლა უფროსების მხარდამხარ შრომობენ.

ნ. გეთაშვილი.

### აშენდა, დამშვენდა

**ზუგდიდი.** დღითი დღე იზრდება და მშვენდება ქალაქი. ახალმა შენობებმა, მოასფალტებულმა ქუჩებმა და მწვანე გაზონებმა სახე უცვალეს მას. ახლახან ლენინის ქუჩაზე ხუთსართულიანი 72-ბინიანი საცხოვრებელი სახლი წამოიმართა, რომლის პირველი სართული სავაჭრო ობიექტისათვის არის განკუთვნილი. ბოტანიკურ ბაღთან კეთილმოწყობილი საყვავილე გაიხსნა, ხოლო ინგირის საბჭოთა მეურნეობაში ახალი სასტუმრო ჩადგა მწყობრში.

ბ. ალშიბაია.

### ხიდი კუჩხაზე

**მახარაძე.** მახარაძე-გურიანთის სამარშრუტო გზაზე წყალდიდობამ ხიდი დაანგრია. რაისაბჭოს აღმასკომის საწარმოო-საგზაო უბნის კოლექტივმა ხიდის ახალი პროექტი შეადგინა და მშენებლობაც დაიწყო.

ახლა მახარაძე-გურიანთის გზას ახალი ხიდი ამშვენებს.

ი. დათუნაშვილი.

### თგილის-ბათუმის გზაზე

**სამტრედია.** თბილისი-ბათუმის ტურისტულ ტრასაზე მგზავრთა დასასვენებელი ადგილია სოფელ ნოღას წყარო, რომელიც საყორნიის კლდოვანი მთიდან მოჩუხჩუხებს.

ახლახანს წყაროს კლდის კიდელი თეთრი ქვითა და გრანიტით მოაპირკეთეს, არქიტექტორ ა. გორდელაძის პროექტით ლაშპეოონები და დასასვენებელი სკამები დადგეს. წყაროს ანკარა წყალი ახლა ხუთი სადინარიდან მოჩქეფს.

ნ. ბენდელიანი.

---

ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა უნივერსიტეტში

**აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელმბის ახალ სახელმწიფო უნივერსიტეტში** დაიწყო მეცადინეობა. უნივერსიტეტში ხუთი ფაკულტეტია: ისტორია-სამართლის (ეკონომიკის განყოფილებით), ფილოლოგიის (განყოფილებები: აფხაზური, ქართული, რუსული და უცხო ენების და ლიტერატურისა), ბიოლოგია-გეოგრაფიის, ფიზიკა-მათემატიკის, პედაგოგიური. გაისად ისტორია-სამართლის ფაკულტეტის ეკონომიკის განყოფილება დამოუკიდებელ ფაკულტეტად გამოიყოფა, ხოლო ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტს დაემატება სპეციალობა „ქიმია“.

● ●

**სურათზე:** აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელები (მარცხნიდან): გასპარ ალექსიანი, ბესიკ ოდიშარია, სუსანა ბებია, რუსლან ეშბა და ფოთოლა ბენდელიანი.

ი. ბოჭოლელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

ანსამბლი—„75“ კონკურსის ლაურეატია

# დიადი ძმობის საგალობელი

**ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „75“, რომელსაც საქართველოს დამსახურებული არტისტი რ. ბარძიმაშვილი ხელმძღვანელობს, გახდა ლაურეატი პირველი სრულიად საკავშირო კონკურსისა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სიმღერების საუკეთესო შესრულებისათვის. ეს ქვეყნის ერთადერთი მხატვრული კოლექტივია, რომელსაც იალტაში გამართული შემოქმედებითი შეჯიბრების სპატიო წოდება მიენიჭა.**

**საქინფორმის კორესპონდენტმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს სთხოვა მოეთხრო კონკურსისა და კოლექტივის შემოქმედებითი გეგმების შესახებ.**

— კონკურსი, რომელშიც ქვეყნის ცნობილი საესტრადო კოლექტივები მონაწილეობდნენ, რთული იყო, — თქვა რ. ბარძიმაშვილმა. — ეს კონკურსი დიდ მოვლენად იქცა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. სიმღერა ხომ აერთიანებს, აახლოვებს ადამიანებს. ალბათ სწორედ ეს არის მისი მთავარი ამოცანა. დღეს მე დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენმა მუსიკოსებმა ღირსეულად ჩაბარეს ეს სერიოზული გამოცდა. კონკურსი, რომელზეც ეძღვნება ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, კუბის, ვიეტნამის კომპოზიტორთა სიმღერები, დიადი ძმობის საგალობლად იქცა. დასკვნითს კონცერტზე ჩვენ შევასრულეთ უნგრული სიმღერა „სად არის ის გოგონა“ და კუბური მელოდიები.

— რაც შეეხება ჩვენს შემოქმედებითს გეგმებს, ვმუშაობთ პროგრამაზე, რომელიც უნდა ვაჩვენოთ მოსკოვში ოლიმპიადა-80-ზე. ჩვენი პროგრამა „ცოცხალი დისკოტეკა“ გათვალისწინებულია სპორტის სასახლის აუდიტორიისათვის. მასში შეტანილია საესტრადო სიმღერები, ფოლკლორული ნაწარმოებები, ინსტრუმენტული პიესები დიქსილენდის, ჯაზ-როკის, დისკოს სტილში.

ამჟამად, მეტეხის თეატრსტუდიასთან ერთად ვმუშაობთ მიუზიკლზე, რომლის პრემიერა ოქტომბრის დამლევს გაიმართება. სპექტაკლში სიმღერებს შეასრულებენ ჩვენი ანსამბლის წევრებიც და დრამატული მსახიობებიც.

ანსამბლის ხელმძღვანელთან საუბრის დასასრულს გვინდა მოვიყვანოთ ნ. ოსტროვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ე. სტანკოვიჩის სიტყვები, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „ერიმსკაია პრავდაში“. „ანსამბლ „75“-ის გამოსვლამ კონკურსზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო ანსამბლის მდიდარი მუსიკალური ენა — იგი ასრულებს უბრალო სიმღერებსაც და რთულ კომპოზიციებსაც სიმფონიური, ნალსური და ელექტრონული მუსიკის ხერხების გამოყენებით. კანონზომიერად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ კოლექტივი კონკურსის ერთადერთი ლაურეატი გახდა. ოსტატობა, ახალგაზრდობა, სიმღერის სიყვარული — აი რამ მოაპოვებინა ანსამბლის მონაწილეებს წარმატება“.

---

ინფორმაცია—79

# მშრომელები ადგილზე მიიღებენ პასუხს

### მინისტრი სოფლად

**იმისათვის,** რომ ავტორიტეტული პასუხი მიეღოთ სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ კითხვებზე, თბილისის საჭელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და სართიჭალის მეცხოველეობის კომპლექსის მუშაკებს არ დასჭირვებიათ თბილისის ცენტრში წასვლა და მინისტრთან მიღებაზე ჩაწერა. სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი კ. გარდაფხაძე სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად ატარებდა მიღებას გარდაბნის რაიონის საწარმოებში.

მშრომელთა მიღება „მინისტრის დონეზე“ მოეწყო აგრეთვე სამგორის მევენახეობისა და მარტყოფის მერძევეობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში.

მინისტრთან თბილისში ჩამოსულნელად იყვნენ მიღებაზე ჯარეთვე გორის მეფრინველეობის ფაბრიკის, კასპის ცემენტისა და მეტეხის აგურის ქარხნების, კასპის რაიონის კალინინის სახელობის, ქვემოჭალის კოლმეურნეობებისა და ოკამის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები.

სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ მიღება არა მარტო უმსუბუქებს მშრომელებს საარსებო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტას, არამედ აგრეთვე ეხმარება სამინისტროს უკეთ მოაწყოს მშრომელთა მომსახურება.

ასობით მუშა-მოსამსახურემ და კოლმეურნემ მიიღო ახსნა-განმარტება მათთვის საინტერესო საკითხებზე, გაეცნო ღონისძიებებს, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს სოციალური უზრუნველყოფის დარგში.

# პირველი პაციენტები

**პირველი** პაციენტები მიიღო ცხაკაიას საავადმყოფოს კომპლექსმა. მასში შევიდა პოლიკლინიკა, 230-ადგილიანი საავადმყოფო, რომელსაც აქვს ფიზიკოთერაპიული, ქირურგიული, ტრავმატოლოგიური, ინფექციური, ნევროლოგიური განყოფილებები. ჯანმრთელობის კომპლექსთან მუშაობს სამშობიარო სახლი, სასწრაფო დახმარების სადგური, რომელიც რაიონის 15 სოფლის მცხოვრებთ ემსახურება.

სოფლის მეცხოვრებთა ჯანმრთელობის სამსახურში ამას წინათ ჩადგა ახალი სამედიცინო დაწესებულებები ჩოხატაურში, ქუთაისში, თელავში, დმანისის რაიონის სამ სოფელში.

რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების ქსელის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მცირე სიმძლავრის სოფლის საავადმყოფოებიდან და ამბულატორიებიდან თანამედროვე სამედიცინო კომპლექსებზე გადასვლას.

მეათე ხუთწლედის დამლევისათვის დაეგეგმილია დაიწყოს საავადმყოფო კომპლექსების მშენებლობა მესტიის, ლენტეხის, დუშეთის, თიანეთის, წალკის, ამბროლაურის, ყაზბეგის და რესპუბლიკის სხვა მთის რაიონებში.

## „ნატვრის ხეს“ — დონატელოს „დავითი“

**თენგიზ აბულაძის** სურათი „ნატვრის ხე“ საზღვარგარეთის საუკეთესო ფილმად აღიარეს და დონატელოს „დავითი“ მიანიჭეს იტალიაში გამართულ საერთაშორისო კინოკონკურსზე. ეს პრემია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჯილდოა.

კონკურსს მე არ დავსწრებივარ და ჯერ არც ჯილდო მინახავს, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა რეჟისორმა თ. აბულაძემ. — ამდენად დაწერილებითს საუბარს მხოლოდ იტალიიდან ჩამოსვლის შემდეგ თუ შევძლებ. იქ მე, როგორც ფილმის დამდგმელი, 20 ოქტომბრისათვის ვარ მიწვეული ჯილდოების გადაცემის ცერემონიაზე. შემიძლია ვთქვა, რომ დონატელოს „დავითი“ იტალიის სახელმწიფო პრემიაა, ეგრეთ წოდებული იტალიური „ოსკარი“ კინემატოგრაფიის დარგში.

ეს ჯილდო იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ კინოკონკურსზე გამარჯვებულ ფილმებს ხმა მისცეს რომის, ტურინის, მილანის, ბოლონიის, ფლორენციის, ნეაპოლისა და ბარის კინოკრიტიკოსებმა და მაყურებლებმა.

იტალიაში ერთდროულად მიმდინარეობდა ორი კონკურსი: თვით იტალიურ ფილმებსა და საზღვარგარეთის კინოსურათებს შორის. პირველ მათგანში საუკეთესო იტალიური სურათის სახელი დაამსახურა ფილმმა „ქრისტე ჩამოხდა ებოლში“. მის დამდგმელს ფრანჩესკო როზის პრიზი მიეკუთვნა აგრეთვე საუკეთესო რეჟისურისათვის. აღსანიშნავია, რომ მოსკოვის წლევანდელ, მეთერთმეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე ეს ნაწარმოები ოქროს პრიზით დაჯილდოვდა.

იტალიაში „ნატვრის ხის“ გამარჯვება ქართული კინოს მაღალი ავტორიტეტის კიდევ ერთი დადასტურებაა. ამ ფილმისათვის დონატელოს „დავითი“ უკვე მეხუთე ჯილდოა საკავშირო და საერთაშორისო კინოდათვალიერებებზე.

## ცხვარი „ქურქს იხდის“

**ახმეტა,** 4 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). თუშეთის საზაფხულო საძოვრებზე დაიწყო ცხვრის პარსვა. ამ სამუშაოს პირველები შეუდგნენ ახმეტის რაიონის პანკისის საბჭოთა მეურნეობის მპარსავები შ. ქავთარაშვილი და მ. ხუგაევი. დღეში ისინი 60-70 ცხვრის გაპარსვას ასწრებენ. მატყლის ზეგეგმითი ნაპარსი ყოველ ცხვარზე საშუალოდ 200 გრამს შეადგენს. ასეთ მაღალ შედეგს მიაღწიეს ცხოველების მზრუნველი მოვლით.

საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს 12 ჩქაროსნული პარსვის ოსტატი, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ერთ კვირაში დაამთავრონ მუშაობა. მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმით გათვალისწინებული 145 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 180 ცენტნერი მატყლი.

ცხვრის პარსვა დაიწყეს აგრეთვე სოფლების ზემო ალვანის, ქვემო ალვანის, ქისტაურის მპარსავებმა.

მიმღებ პუნქტებში უკვე მიიტანეს მატყლის პირველი ცენტნერები. ახმეტელი მეცხვარეები აპირებენ მატყლის დამზადების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეასრულონ.

დაწყებულია მზადება შირაქის ზამთრის საძოვრებზე ფარების გადასარეკად.

## „საბჭოთა ხელოვნება“ № 8

**გამოვიდა** ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მორიგი, მე-8 ნომერი. იგი იხსნება თ. ჩხენკელის, გ. ბარამიძისა და მ. ოდიშელის წერილებით, რომლებიც ეძღვნება ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის დაბადების 50-ე წლისთავს.

ამ ნომერში შეგიძლიათ წაიკითხოთ აგრეთვე საუბარი მრგვალ მაგიდასთან თოჯინების თეატრის დრამატურგიაზე, მ. კოკოჩაშვილის „ძიებები, პრობლემები, ამოცანები“, ლ. კიკნაძის „დათა თუთაშხია“, მ. ფიჩხაძის „ზოგი რამ მიუზიკლის წარსულიდან“ ა. ვასაძის „მოგონებები და ფიქრები“, კულტურული ცხოვრების ქრონიკა და ა. შ.

---


ეკონომიკა

# ეკონომიკური გამოცდილება

## პირველი მედლები

**მეხიკოში** მიმდინარე უნივერსიადაზე საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ოქროს მედალი მიიღო ლენინგრადელმა მიიღო ლენინგრადელმა მოცურავემ მიხეილ გორელიკმა. მან 200 მეტრზე ცურვაში იზეიმა გამარჯვება — 2 წუთი და 4,5 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ევროპის ჩემპიონი მიხაილ კრაუსი (გფრ) — 2.06,25. მესამე ადგილი წილად ხვდა ლენინგრადელ სერგი კისლიოვს — 2.06,95. 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში საბჭოთა სტუდენტი ქალების ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა. ამ სახეობაში უძლიერესნი იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეები. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეოთხე იყო ტარტუელი ლიინა კრუუსი (გაიმარჯვა ამერიკელმა ანი კოლკინსმა). 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ხარკოველმა ვლადიმერ დოლგოვმა მეშვიდე ადგილი დაიკავა (გაიმარჯვა ავსტრალიელმა მარკ კერიმ, რომელმაც უნივერსიადის რეკორდი დაამყარა — 57,05 წამი).

**ტანვოვარჯიშეთა** ტურნირში უძლიერესი გახლდათ სსრ კავშირის სტუდენტ ვაჟთა ნაკრები — 171,6 ქულა. მომდევნო სპორნო ადგილებზე არიან იაპონელები (169,85) და რუმინელები (168,7). პირად ასპარეზობაშიც საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო: პირველ ადგილზე გამოვიდა ლვოველი ბოგდან მაკუცი (57,55), მეორეზე — დნეპროპეტროვსკელი თეოდორე კულაკსიზოვი (57,0), მესამეზე — დონისროსტოველი სერგი ხიკიაკოვი (56,95).

**დაიწყო** **მოფარიკაკეთა** ასპარეზობაც. მინსკელმა ალექსანდრე რომანაკოვმა და კიეველმა ვლადიმერ სმირნოვმა რაპირისტთა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

**ჩრდილოეთის** ტურნირში მოსკოველები ვადიმ ბორისოვი და ნატალია ჩმირიოვა, ბაქოელები რამიზ ახმეროვი და ევგენია ბირიუკოვა მერვედფინალში გავიდნენ.

**საბჭოთა** **წყალბურთელებს** შესარჩევ ჯგუფში პირველი შეხვედრა მოუწიათ გვატემალელებთან. დიდი აწგარიშით გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. ამ ჯგუფში გამოდიან აგრეთვე კანადელები და იტალიელები.

## სად, რა, როდის...

**ფეხბურთი.** იაპონიაში მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი-პოლონეთი — 1:0, არგენტინა-ურუგვაი — 2:0. სსრ კავშირისა და არგენტინის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩი გაიმართება 6 სექტემბერს.

**ცურვა.** ტოკიოში გამართული მსოფლიო თასის გათამაშების დროს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა, 15 წლის გოგონამ სინტია ვუდხედმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 1 წუთი და 58,23 წამი.

**ველოსიპორტი.** საფრანგეთის გზაზე სტარტი მეცა „ტურ დე ლავენირად“ წოდებულ მრავალდღიან ველორბოლას. მისი „პროლოგი“ მოეწყო ქალაქ დივონი-ლე-ბენის ქუჩებში. გაიმარჯვა ბელგიელმა იან ბოგერტმა, რომელმაც 4,2 კილომეტრი 5 წუთსა და 45,23 წამში დაფარა. მეორე იყო კუიბეშეველი საიდ ჰუსეინოვი — 5.48,01. ლენინგრადელი სერგი მოროზოვი მეშვიდე ადგილზე გავიდა (5.52,36), ხოლო კუიბიშეველი ალექსანდრე ავერინი — მეცხრეზე (5.54,8). ბელგიელები გუნდურ ჩათვლაშიც პირველი იყვნენ (17.25,1). საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზეა (17.30,49).



რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**



ტელევიზია

**5 სექტემბერი**

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადილას ქრებიან“, მეშვიდე სერია (ფ.), 16.50 — ბავშვის საერთაშორისო წელი. მხატვრული ფილმი „არც ერთი დღე უთავგადასავლოდ“, 18.10 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სამეცნიერო პოპულარული ფილმი „მეცნიერების პირიშა“ (ფ.), 19.00 — „შედეგი შეჯიბრებისა, 19.10 — „ბეგინერის გახსენება“ — „გვიან კიკურაძე, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.00 — საერთაშორისო შეხვედრა ფეიბუროში: საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ჯ. ბუჩინის ოპერა „ბოჰემის“ ფრაგმენტები (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — განცხადებები (ფ.), 18.30 — მხატვრული ფილმი „ჟამი სიცოცხლისა, ჟამი სიყვარულისა“ (ფ.).


---

XXI საუკუნის ძარიბჭესთან

# მომავლის ინჟინერი

**რა უნდა იცოდეს 2000 წელს ინჟინერმა?** ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ ლენინგრადის ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერები. მათ გააანალიზეს მეცნიერების, სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების გზები, ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემის პერსპექტივები.

ინდუსტრიულ და სამეცნიერო ცენტრებში დაგზავნილმა ათასობით ანკეტამ ხელი შეუწყო მეცნიერებს დაეზუსტებინათ იმ ცოდნის, პრაქტიკული ჩვევების ხასიათი და მოცულობა, რომელიც ინჟინერს უნდა ჰქონდეს მომავალი საუკუნის მიჯნაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მოამზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ ნათქვამია, რომ საჭიროა უკანასკნელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინება, სპეციალისტთა თვალსაწიერის განვითარება პერსპექტივისათვის, უთხრა საკავშირო კორესპონდენტს ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. პროსკურიაკოვმა. კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხი ფუძემდე გაუმჯობესებას, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებათა სპეციალისტებზე წარმოების მოთხოვნებისადმი ოპერატიულ რეაგირებას ხელს უწყობს მოდელები, რომლებიც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებმა შექმნეს.

უკანასკნელ წლებში ქალაქის ინსტიტუტებში შემოღებულია ახალ სპეციალობათა სწავლება. ეს არის მართვის ავტომატიზაცია, ტექნიკური კიბერნეტიკა, პლაზმოქიმია, მიკრობიოლოგიური სინთეზის ტექნოლოგია, ეკოლოგია და წიაღის რაციონალური გამოყენება და სხვა. გაიზარდა სპეციალისტთა გამოშვება ბირთვული ენერგეტიკის, სამთამადნო და ნავთობქიმიური მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის.

სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას ხელს უწყობენ საწარმოებში არსებული სალაბორატორიები. უმაღლესი სკოლის ეს ფილიალები უკვე ამზადებენ ოცზე მეტი სპეციალობის ინჟინერებს. მაგალითად, ელექტრონული ხელსაწყოთმშენებლობის გაერთიანება „სვეტლანაში“ კირიშის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, „მოტორაგენტმატიკის“ ტრესტში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სილიკატების ქიმიის ინსტიტუტში სტაჟირებას გადიან ლენინგრადის საბჭოს სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. ისინი სწავლობენ და მუშაობენ არჩეული სპეციალობის მიხედვით. ასეთი ფორმა შესანიშნავად უწყობს ხელს სწავლებისა